პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 70 (12886)
სამშაბათი, 24 მარტი, 1964 წ.
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნივ. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 1 შახტის მესამე უბნის საწმენდი სანგრევის სამთოელთა ბრიგადირს გ. რუდოის (მარცხნივ) და მეორე უბნის გამყვანთა ბრიგადირს გ. ცაგას, რომლებიც დავალებას სისტემატურად ორმაგად ასრულებენ. მეორე სურათზე არიან თბილისის კლავიშიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის კლავიატურის საამქროს უფროსი პ. ფარუაშვილი (მარცხნივ), კლავიატურის მიმღები ფ. გაბელაშვილი და კონტროლიორი რ. სიროეჟკინი, რომლებიც მუდამ გულდასმით ამოწმებენ პროდუქციას და უშვებენ მხოლოდ პირველი ხარისხის კლავიატურას.

ფოტო გ. ტოლმაჩევისა და გ. გოგოხიასი.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების დაგეგმვის პრაქტიკაში უხეშ დარღვევათა და დამახინჯებათა ფაქტების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 მარტის დადგენილება

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომელიც პარტიამ განახორციელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წლის) პლენუმის შემდეგ სოფლის მეურნეობის დარგში, იყო 1955 წელს დაგეგმვის ახალი წესის შემოღება, რომელსაც საფუძვლად დაედო სახელმწიფო ხელმძღვანელობის შეხამება კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შემოქმედებითი აქტივობის ყოველი ღონისძიებით განვითარებასთან. დაგეგმვის ამ წესმა მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება.

საწარმოო პრინციპით პარტიული ორგანოების გარდაქმნამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა შექმნამ საშუალება მოგვცა ძირეულად გაგვეუმჯობესებინა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა, უფრო ღრმად ჩავწვდომოდით მათს ეკონომიკას. ბევრმა საწარმოო სამმართველომ სწორად გაიგო თავისი ამოცანები, კონკრეტულად, საქმის ცოდნით უძღვება წარმოებას, შეძლო კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა დარაზმვა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის საბრძოლველად. ისინი უნარიანად იყენებენ დაგეგმვის ახალ წესს იმისათვის, რომ განავითარონ სოფლის მშრომელთა ინიციატივა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების რეზერვებისა და შესაძლებლობების გამონახვასა და გამოყენებაში, რათა მაქსიმალური რაოდენობით მიიღონ პროდუქცია თვითეულ ჰექტარ მიწაზე შრომისა და სახსრების უმცირესი დანახარჯებით.

იქ, სადაც მტკიცედ იცავენ დაგეგმვის ახალ წესს, უზრუნველყოფენ მიწის უფრო გონივრულად გამოყენებას, იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. ასეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა მუშაკთა პასუხისმგებლობა შრომის შედეგებისათვის, გადიდდა მათი დაინტერესება იმით, რომ მოიყვანონ მარცვლეულის, ტექნიკური და სხვა კულტურების უფრო უხვი მოსავალი, გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

1955 წლის 9 მარტის დადგენილებაში „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ დაგეგმვის ახალი წესის ამოსავალი საწყისი უნდა იყოს სასაქონლო პროდუქციის მოცულობა. ეს მითითება სავსებით ინარჩუნებს თავის ძალას დღესაც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გეგმების შედგენას უნდა ვიწყებდეთ უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და ვახორციელებდეთ თვითეული მეურნეობის კონკრეტული პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უნდა ეძლეოდეთ დავალება — რამდენი და რა სახეობის პროდუქტები უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს, ხოლო რამდენი და რა კულტურები უნდა თესონ, რამდენი პირუტყვი იყოლიონ, როგორ გამოიყენონ უფრო რაციონალურად მიწა, რათა მიიღონ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია და წარმატებით შეასრულონ მისი გაყიდვის სახელმწიფო გეგმა, — ეს თვით კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საქმეა; მათ უკეთ იციან თავიანთი პირობები და უფრო სწორად გამოიყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს.

მაგრამ ამ ბოლო დროს მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში ურიგდებიან წარმოების ზემოდან დაგეგმვის შაბლონურ პრაქტიკას, რაც დიდი ხანია დაგმო პარტიამ, მოურიდებლად ახვევენ თავს მეურნეობებს ნათესი ფართობებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გეგმებს, ბრძანებებით არეგლამენტებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელ მუშაობას. ამით ადუნებენ მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების საქმიანობას, ბოჭავენ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ინიციატივას.

ზოგიერთი ადგილობრივი ორგანო ხშირად აგდებულად ეკიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემუშავებულ გეგმებსა და წინადადებებს, აიძულებს მათს ხელმძღვანელებს უსაფუძვლოდ გადასინჯონ გეგმები, ანგარიში არ გაუწიონ რეალურ შესაძლებლობებსა და სამეურნეო მიზანშეწონილობას.

ურიგდებიან სხვა დამახინჯებებსაც დაგეგმვის პრაქტიკაში.

როცა მეურნეობის დავალებებს განსაზღვრავენ, საწარმოო სამმართველოთა მუშაკები ეყრდნობიან არა მის შესაძლებლობებს, არამედ წარმოების ფაქტიურ დონეს. ამის შედეგად მეურნეობებს, რომლებიც განლაგებული არიან ერთ ზონაში, ნიადაგისა და ჰავის თანაბარ პირობებში, ეძლევათ სხვადასხვა საგეგმო დატვირთვა. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ.

თუ მეურნეობებს აქვთ ერთნაირი შესაძლებლობანი, თანაბარი პირობები, მაშინ არ უნდა იყოს საგეგმო დავალებათა დიდი განსხვავებაც. არ შეიძლება ვიმოწმებდეთ იმას, რომ წლის შედეგებით მეურნეობანი გამოვიდნენ სხვადასხვა მაჩვენებლით. ჰექტარზე მოსავლის, შრომისა და სახსრების დანახარჯების, მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავლის განსხვავება გამოწვეულია არა რაღაც ობიექტური მიზეზებით, არამედ დამოკიდებულია მეურნეობის ორგანიზატორებზე, ხელმძღვანელობის უნარზე, ძალების სწორად განაწილებასა და გეგმების შესასრულებლად კოლექტივის დარაზმვაზე. ამიტომ არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: ვინც ცუდად მუშაობს, მას — ნაკლები გეგმა, ვინც უკეთ მუშაობს — მას უფრო დიდი გეგმა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხელთ აქვთ მონაცემები, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები აიძულებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ზოგი კულტურის თესვა გააფართოონ, ზოგისა კი შეამცირონ, გაადიდონ ამა თუ იმ სახეობის პირუტყვის სულადობა მხოლოდ იმისათვის, რომ დაიცვან გეგმაში მოსაჩვენებელი პროცენტი. ამის შედეგად სათეს ფართობებზე ხშირად თესავენ მცირე მოსავლიან კულტურებს, ხოლო თავს ანებებენ უფრო პროდუქტიულ, მეურნეობისათვის ეკონომიურად ხელსაყრელ კულტურებს. ნაცვლად იმისა, რომ ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივას, დაეხმარონ მათ დანერგონ მეცნიერების და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები და ამით ხელი შეუწყონ წარმოების ინტენსიფიკაციას, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ხშირად ადგება შიშველი ადმინისტრირების, მბრძანებლობის გზას.

სერიოზული ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვაში. როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უწესებენ სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის გეგმას, ყოველთვის როდი ითვალისწინებენ მეურნეობის საწარმოო მიზანდასახულობას, მის სპეციალიზაციას. ასეთი თვალსაზრისი იწვევს საწარმოო ხარჯების გადიდებას და არ უწყობს ხელს იმ დარგების განვითარებას, რომლებმაც გარკვეულ პირობებში შეიძლება მოგვცენ მაქსიმალური რაოდენობით იაფი პროდუქცია.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღმავლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ინიციატივის განვითარება, მათი კიდევ უფრო მეტი დაინტერესება წარმოების შემდგომი ზრდით ინტენსიფიკაციის საფუძველზე, ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა როლისა და პასუხისმგებლობის გადიდება რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოყენებაში, წარმოების გაძღოლის საუკეთესო წესების გამონახვაში, თვითეული მეურნეობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაგმობილ იქნას, როგორც მავნე, სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელი, ის პრაქტიკა, როცა შაბლონურად გეგმავენ, მოურიდებლად ახვევენ თავს ზემოდან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დავალებებს, რომლებშიც უკვე განსაზღვრულია სათესი ფართობების ოდენობა, მათი სტრუქტურა, პირუტყვის სულადობა და სხვა საწარმოო მაჩვენებლები. აეკრძალოს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუწესონ საწარმოო დავალებანი რაიმე მაჩვენებლების მიხედვით, გარდა სახელმწიფო გეგმით დამტკიცებული მაჩვენებლებისა.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს მკაცრ პარტიულ და სახელმწიფო პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც არღვევენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უფლებებს წარმოების დაგეგმვაში. ასეთი დარღვევის შედეგად გამოწვეული მატერიალური ზარალი უნდა ანაზღაურდეს იმათ ხარჯზე, ვინც მეურნეობა დააყენა წაგების გზაზე.

2. დაწესდეს, რომ კულტურების შერჩევას, ნათესი ფართობების ოდენობას, პირუტყვის სულადობას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ვადებს, აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ ხერხებსა და მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების დანერგვის ღონისძიებებს განსაზღვრავენ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათი სპეციალისტები და ხელმძღვანელები, ამასთან უზრუნველყოფენ ამ საქმეში კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო მონაწილეობას.

3. დაევალოს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილებით „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უნდა ეძლეოდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის მხოლოდ სახელმწიფო გეგმა, წარმოების დაგეგმვას კი უნდა ახორციელებდნენ თვით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ამასთან უნდა ითვალისწინებდნენ იმას, რომ საჭიროა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების დაგეგმვასა და მეცხოველეობის განვითარებას კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ახორციელებენ წარმოების დასახული დონის შესაბამისად და მიწის უკეთ გამოყენების გათვალისწინებით.

თუ ნათესი ფართობების, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის განვითარების მაჩვენებელთა დაგეგმვის დროს წარმოიშობა აზრთა სხვაობა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებსა და საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელებს შორის, გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან კოლმეურნეობის გამგეობამ, საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა. არ შეიძლება ზემოდან ვახვევდეთ თავს თესვის გეგმებს. თუ გადამწყვეტი სიტყვა საწარმოო სამმართველოს დარჩება, მაშინ ძირი გამოეთხრება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრების პასუხისმგებლობას მიწის სწორად გამოყენებისათვის, წარმოების გეგმების შესრულებისა და სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვისათვის.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მეხუთე მუხლი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“, რომლითაც რაიონულ აღმასკომებს უფლება ეძლეოდათ განეხილათ კულტურების მიხედვით თესვის გეგმები და მეცხოველეობის განვითარების გეგმები კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობებთან უთანხმოების დროს გადასასინჯად დაებრუნებინათ ეს გეგმები.

4. წარმოების დაგეგმვისას კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ისეთი კულტურების თესვა-მოყვანა და ისეთი სახეობისა და ჯიშის პირუტყვის მოშენება, რომლებიც გარკვეული მეურნეობის კონკრეტულ პირობებში უზრუნველყოფენ პროდუქციის უმეტეს გამოსავალს უმცირესი დანახარჯებით, უკეთ ანაზღაურებენ შრომას, საშუალებას იძლევიან უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, აწარმოონ მეურნეობა ინტენსიფიკაციის გზით.

5. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო, სამხარეო პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს 1964-1965 წლების განმავლობაში განახორციელონ მუშაობა თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სპეციალიზაციის განსაზღვრისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ წარმოების დარგების ყველაზე ეფექტიანი შეხამება ბუნებრივი და ეკონომიური პირობების შესაბამისად. მეურნეობის სპეციალიზაციის მიმართულება უნდა განისაზღვროს თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან და აქტივთან ერთად.

თვითეული მეურნეობისადმი დიფერენცირებული მიდგომისას უზრუნველყოფილ უნდა იქნას მთლიანად ოლქში, მხარეში, რესპუბლიკაში ყველა სახეობის სასაქონლო პროდუქციის წარმოების გადიდება და სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულება.

6. თვითეული მეურნეობის წარმოების უფრო გეგმაზომიერი ორგანიზაციის მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ მთლიანად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის საგეგმო დავალებათა ეკონომიურად დასაბუთებული განლაგება ხუთწლეულისათვის — 1966-1970 წლებისათვის ჩვენი ქვეყნის ზონების, ოლქებისა და საწარმოო სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით, ამასთან გაითვალისწინონ წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებმა, როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უწესებენ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის საგეგმო დავალებებს, შესყიდვის გეგმის შესრულების ღონისძიებებთან ერთად უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე ინტერესები თვითეული მეურნეობის ეკონომიკის შემდგომი ზრდისა გაღრმავებული სპეციალიზაციის საფუძველზე, შექმნა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აუცილებელი საწარმოო ფონდებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ გაფართოებულ კვლავწარმოებას, შრომის შედეგებით მუშათა მატერიალური დაინტერესების პრინციპის, როგორც მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობის მტკიცედ დაცვას.

7. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა მუშაობა უნდა შეფასდეს არა მარტო სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის გეგმის შესრულების შედეგებით, არამედ უწინარეს ყოვლისა მეურნეობის საწარმოო საქმიანობის შედეგებით — რამდენი პროდუქტებია წარმოებული, რა თვითღირებულებისა, რამდენად გაიზარდა წარმოების მოცულობა და რა პირობები და შესაძლებლობებია შექმნილი მისი შემდგომი განვითარებისათვის. წარმოების დონე, რასაც სხვადასხვა სპეციალიზაციის მეურნეობებმა მიაღწიეს, უნდა შეფასდეს იმ მაჩვენებლებით, რომლებიც შეესაბამება მეურნეობის მიმართულებას.

8. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ საჭიროა უფრო აქტიურად დაინერგოს წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები. პროგრესული ხერხებისა და მეთოდების დანერგვა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში უნდა ხორციელდებოდეს მათი აქტიური პროპაგანდის გზით, ისე, რომ არ იყოს ადმინისტრირება და შაბლონი, რომ მეურნეობებს თავს არ ახვევდნენ შეუმოწმებელ მეცნიერულ რეკომენდაციებს, რომლებსაც სარგებლობის ნაცვლად შეიძლება ზარალი მოჰყვეს. აგრონომიული და ზოოტექნიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეკუთვნოდეთ აგრონომებსა და ზოოტექნიკოსებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სწრაფად აღმოფხვრიან ახლანდელ ნაკლოვანებებს დაგეგმვის ორგანიზაციაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობაში, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა, სოფლის ყველა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა მოახმარონ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის დიადი ამოცანების შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციას

საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად ჩემი სახელით მხურვალედ მივესალმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მონაწილეებს.

საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებას გამოთქვამს ამ კონფერენციის გახსნის გამო, რომლის მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორია საბჭოთა კავშირი. ჩვენ გვახარებს, რომ კონფერენციის მოწვევის იდეას ფართოდ დაუჭირეს მხარი მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებადმა ქვეყნებმა, და ახლა იგი სინამდვილედ იქცა.

დარწმუნებული ვართ, რომ თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა კარგი საფუძველია სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის და ხელშემწყობ პირობებს ჰქმნის საერთაშორისო დაძაბულობის კიდევ უფრო შესანელებლად და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განსამტკიცებლად.

ჩვენს დროს ახასიათებს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მისწრაფება უმოკლეს ვადაში მოუღონ ბოლო ეკონომიურ ჩამორჩენილობას, მიაღწიონ პროგრესს ცხოვრების ყველა დარგში.

საერთაშორისო ვაჭრობა და ეკონომიური თანამშრომლობა, რომლებსაც საფუძვლად უდევს სუვერენიტეტის პატივისცემა და მისწრაფება, რომ გაითვალისწინონ განვითარებადი ქვეყნების საარსებო მოთხოვნილებანი, კარგი ღონისძიებაა იმ მეცადინეობასთან ერთად, რომლებსაც ეს ქვეყნები ახორციელებენ კოლონიალიზმის შედეგების აღმოსაფხვრელად თავიანთ ეკონომიკასა და საგარეო ვაჭრობაში და დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის აღმავლობისათვის.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ახლანდელი მდგომარეობა ბევრ მხრივ არ შეესაბამება იმ დიდ იმედებს, რომლებსაც მსოფლიოს ხალხები ამყარებენ ამ ვაჭრობაზე. შრომის უსამართლო საერთაშორისო დაყოფა, ის გარემოება, რომ განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო საქონლის ფასები სულ უფრო ჩამორჩება მათი საიმპორტო საქონლის ფასებს, რაც იწვევს ამ ქვეყნების სიმდიდრის გამოფიტვას და აფერხებს მათ განვითარებას, იმპერიალისტური ექსპლოატაციის შედეგია. დისკრიმინაცია და ხელოვნური ბარიერები აფერხებენ საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას და წამლავენ პოლიტიკურ ატმოსფეროს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი თანმიმდევრულად ახორციელებს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობების განვითარების პოლიტიკას. ამას ცხადყოფს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის განუხრელი ზრდა.

ჩვენ კვლავაც დიდ ყურადღებას დავუთმობთ ვაჭრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას ყველა ქვეყანასთან, რომლებსაც ეს აინტერესებთ, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებთან.

თქვენ, ამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი კონფერენციის მონაწილეებმა, უნდა შეასრულოთ პასუხსაგები და კეთილშობილური ამოცანები: უზრუნველყოთ უკეთესი პირობები მსოფლიო ვაჭრობის განვითარებისათვის სამართლიანი პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ვაჭრობის ნორმალიზაციას, ხელოვნურ დაბრკოლებათა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ყველა ქვეყნისათვის ღირსეული ადგილის მიჩენას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, აგრეთვე შეიმუშაოთ საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების პრაქტიკული ღონისძიებანი, შექმნათ ქმედითი ორგანიზაციული აპარატი იმ მიზნით, რომ უსწრაფესად განხორციელდეს კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

ამისათვის საჭირო იქნება გაბედულად, სამართლიანად და უწინაზრახვოდ გადაჭრათ კონფერენციის წინაშე დასმული პრობლემები.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ხალხთა შორის ვაჭრობასა და ეკონომიურ თანამშრომლობას შეუძლია შეიტანოს და კიდევაც უნდა შეიტანოს უდიდესი წვლილი მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში, წარმატებას უსურვებს კონფერენციას და გამოთქვამს იმედს, რომ იგი ახალ ფურცელს გადაშლის საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის ისტორიაში.

ნ. ხრუშჩოვი.

1964 წლის 22 მარტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

ჩვენ, საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების რესპუბლიკური აქტივის კრების მონაწილენი, გულითადად მივესალმებით მშობლიური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ.

სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ახალი მიჯნები დასახეს 1964 წლისათვის, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ჩვენ, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაკებს, ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის მთავარ ამოცანად მიგვაჩნია აქტიური დახმარება გავუწიოთ პარტიასა და მთავრობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესრულებაში, ყოველი ღონისძიებით დავეხმაროთ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს იმ საქმეში, რომ განუხრელად შეასრულონ სახალხო-სამეურნეო გეგმები, გამოავლინონ შინაგანი რეზერვები და გამოუყენებელი შესაძლებლობანი, რათა გაფართოვდეს წარმოება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, შემცირდეს მისი თვითღირებულება და გადიდდეს შრომის ნაყოფიერება.

ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ახალი ორგანოები, მაგრამ ამ მოკლე პერიოდმა ერთხელ კიდევ სავსებით დაადასტურა, რომ სწორია საბჭოთა სახელმწიფოში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის ლენინური პრინციპები.

ახლა, როცა საბჭოთა ადამიანები ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ, საქართველოს სსრ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს, ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ყოველთვის იყვნენ აქტიური თანაშემწენი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც მეთაურობენ საყოველთაო სახალხო ლაშქრობას იმისათვის, რომ განხორციელდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანესი მითითებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის შესახებ.

ხელმძღვანელობენ რა ვ. ი. ლენინის ანდერძით, საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის მუშაკები მრავალრიცხოვანი აქტივის მონაწილეობით პრაქტიკული ორგანიზატორები არიან მასობრივი სახალხო შემოწმებისა, თუ როგორ სრულდება ფაქტიურად პარტიისა და მთავრობის დირექტივები, რათა გაძლიერდეს ბრძოლა სოციალისტური ეკონომიკის ყოველი ღონისძიებით აღმავლობისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის.

ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ დიდ დახმარებას, რომელსაც თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, გვიწევთ მასობრივი სახალხო კონტროლის, ყველაზე დემოკრატიული კონტროლის განხორციელების საქმეში, კონტროლისა, რომლის მსგავსი არ არის და არც შეიძლება იყოს რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოში. ვასრულებთ რა თქვენს მითითებებს, ჩვენ უმკაცრეს კონტროლს ვუწევთ შრომის ზომასა და მოხმარების ზომას, სოციალისტური პრინციპის დაცვას: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“.

ჩვენ, დღევანდელი კრების მონაწილენი, სიტყვას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები, რომლებსაც საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს, თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ახალი ადამიანის — ნათელი კომუნისტური ხვალინდელი დღის მშენებლის აღზრდის საქმეში.

მიღებულია საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების რესპუბლიკური აქტივის კრებაზე 1964 წლის 20 მარტს.

ქ. თბილისი.

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 21 მარტს მთავრობის ჯილდოები გადასცეს მეცნიერების მოღვაწეებს, წარმოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, საბჭოთა, სამეურნეო, საპროექტო ორგანიზაციათა მუშაკებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. ა. კვაჭაძემ** წაიკითხა ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **მ. მ. ლელაშვილმა** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედალი „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ გადასცა უფროს ლეიტენანტებს **რ. ა. ბალდასაროვს, ე. ვ. ბახტაძეს**, პოდპოლკოვნიკ **ვ. მ. რეუტსკისა** და სხვებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ჯარებში უმწიკვლო სამსახურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარმატებითი სამსახურისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფესორმა **ა. პ. გოკიელმა** მიიღო სიგელი, მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ეს საპატიო წოდება მას მიენიჭა დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

გადაეცათ სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. მათ შორის, ვინც მიიღო სიგელები ამ წოდების მინიჭების შესახებ არიან საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს მსუბუქი ტაქსმოტორების № 2 კონტორის მძღოლი **ვ. გ. გრიგორიანი**, გ. ტარსაიძის სახელობის თვალის დაავადებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგე **ლ. ვ. ხუროძე** და სხვები.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატმა **მ. ს. აკოპოვმა**, საქართველოს „ჰიდროენერგომშენის“ ტრესტის განყოფილების უფროსმა **ვ. ნ. მუჯირმა** და სხვებმა მიიღეს სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორს **გ. გ. აბაშიძეს** გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, რითაც ჟურნალი დაჯილდოვდა მისი პირველი ნომრის გამოსვლის 40 წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები“ მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრჩეველმა **კ. ს. ცომაკურიძემ**, რომელიც დაჯილდოვდა დაბადების 60 წლისთავისა და სამეურნეო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა **დ. ი. ერისთავმა**, დაჯილდოებულმა დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორმა, პროფესორმა **გ. ი. ყანჩაველმა**, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, საპატიო სიგელები გადაეცათ აგრეთვე საქართველოს შახტმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს **მ. მ. ქებულაძეს**, დაჯილდოებულს დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერ **ვ. ზ. ჩხეიძეს**, დაჯილდოებულს დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის, ტყის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს **გ. ნ. აბრამაშვილს** — დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით და ხე-ტყის მრეწველობის განვითარებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა დიდ ჯგუფს.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვეს გ. ტარსაიძის სახელობის თვალის დაავადებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგემ ლ. ვ. ხუროძემ და პოლკოვნიკმა მ. ი. გვასალიამ, რომლებმაც აღუთქვეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ კვლავაც თავდადებულად იმუშავებენ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ამხ. მ. მ. ლელაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ. (საქდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა იემენელი სტუმრების ჯგუფი

23 მარტს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა იემენელი სტუმრების ჯგუფი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფებოდა იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტთან მარშალ აბდალა ას-სალალთან ერთად.

იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი მარშალი აბდალა ას-სალალი კიდევ რამდენიმე ხანს დარჩება საბჭოთა კავშირში სამკურნალოდ და დასასვენებლად. საბჭოთა კავშირში დარჩა აგრეთვე პრეზიდენტის თანმხლებ ოფიციალურ პირთა ნაწილი. (საქდესი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იემენის დოკუმენტებს

21 მარტს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იემენის დოკუმენტებს, სახელდობრ:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იემენის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობის ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოაწერეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა აბდალა ას-სალალმა.

ხელმოწერილია შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იემენის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, შეთანხმება, რომ საბჭოთა კავშირი იემენის არაბთა რესპუბლიკაში ააშენებს ჰოსპიტალს პოლიკლინიკით და სამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას. ხელმოწერილია აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და იემენის არაბთა რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობის გეგმა 1964 წლისათვის.

მასალები გამოფენისათვის

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გაითვალისწინა მკითხველთა უამრავი თხოვნა და გამოუშვა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის მასალების კომპლექტის მეორე დამატებითი გამოცემა.

კომპლექტში მოცემულია ილუსტრაციები შემდეგ თემებზე: „ბავშვობის წლები“, „ჭაბუკობის წლები“, „რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი“, „ვ. ი. ლენინი — რევოლუციური მარქსისტული პარტიის შემქმნელი“, „ვ. ი. ლენინი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი“, „ვ. ი. ლენინი — საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი, წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“, „ვ. ი. ლენინი — დიადი მშენებლობის ხელმძღვანელი“, „ვ. ი. ლენინი — ბავშვებისა და ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარი“, „სკკპ XXII ყრილობა — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა“.

(საქდესი).

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაობა—ახალი, დიდი ამოცანების დონეზე!

საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების აქტივის კრება

საბჭოთა ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებს, თავდადებით იბრძვის, რათა განახორციელოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა.

ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში, კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში პარტიას დიდ დახმარებას უწევენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყურადღება მიპყრობილია იმ ამოცანებისადმი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა დასახეს, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებსა და მათს მასობრივ აქტივს არა აქვთ უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე ის, რომ განახორციელონ ყოველდღიური კონტროლი ამ პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

იმაზე, თუ როგორ ასრულებენ ამ დიდ ამოცანებს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები, რა მუშაობა გასწიეს მათ 1963 წელს და რა ამოცანებია დასახული მათს წინაშე, იმისათვის, რომ გააძლიერონ კონტროლი პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი, საქმიანად ისაუბრეს რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე, რომელიც 20 მარტს გაიმართა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კუჭავამ.

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ლენინური პრინციპით შექმნილი ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები მეორე წელია მუშაობენ, — თქვა ამხ. მ. კუჭავამ. — ამ მოკლე პერიოდმა სავსებით დაადასტურა ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ლენინური პრინციპების აღდგენის ისტორიული აუცილებლობა, რაც კომუნისტურ პარტიას მშრომელებთან კავშირის განმტკიცების, საზოგადოების საქმეების მართვაში მასების ჩაბმის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ადგილებზე პარტიული ორგანიზაციების მეცადინეობით, დადგენილ ვადაში, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა, დამთავრდა საორგანიზაციო მუშაობა და რესპუბლიკაში შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის 77 კომიტეტი. მათს 429 შტატგარეშე განყოფილებასა და სექტორებში თავიანთი ძირითადი საქმიანობისაგან მოუწყვეტლივ წარმოებასა და აპარატში მუშაობს 2.570 აქტივისტი. მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სავაჭრო ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, უწყებებსა და სახლმმართველობებში შექმნილია კონტროლის ხელშემწყობი 6 ათასამდე ჯგუფი და 23.500-ზე მეტი საგუშაგო, რომლებშიც 144 ათასზე მეტი აქტივისტია — კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიოები.

იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ სახალხო კონტროლიორებს დაუსახა, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მათი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. რეგულარულად იწყობა კომიტეტების, ხელშემწყობი ჯგუფების, თავმჯდომარეთა, „კომკავშირული პროჟექტორების" შტაბების უფროსებისა და რაზმების ხელმძღვანელთა საუბრები, სემინარები.

თბილისის სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტთან შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საფუძვლების ფაკულტეტი, რომელზეც თავიანთ კვალიფიკაციას იმაღლებენ ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების 700-მდე წევრი და საზოგადოებრივი ინსპექტორები.

სახალხო კონტროლის აქტივისტები მძლავრი ძალა გახდა წარმოების შინაგანი რეზერვების გამოყენების, ნედლეულის, მასალებისა და ფულადი სახსრების ეკონომიური ხარჯვის, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, საწარმოო გეგმებისა და ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

4 ათასზე მეტი აქტივისტი, თქვა შემდეგ ამხ. კუჭავამ, მონაწილეობას იღებდნენ სახალხო-სამეურნეო ტვირთების შენახვის მდგომარეობისა და რკინიგზის სადგურებიდან და საზღვაო ნავსადგურებიდან მათი გადაზიდვის მასობრივ შემოწმებაში. ამის შედეგად 35 ათასი ტონა ჩაწოლილი ტვირთი გადაზიდეს და 33 ათასზე მეტი ვაგონ-საათით შემცირდა დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენა. შავი და ფერადი ლითონების აღრიცხვის მდგომარეობის, შენახვის მასობრივ შემოწმებაში მონაწილეობას იღებს 10 ათასზე მეტი კაცი, რაც საუკეთესო შედეგებს გვაძლევს.

1963 წელს მოწყობილი მასობრივი შემოწმება, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის, როგორ ინახავდნენ სამრეწველო და განმანაწილებელ მაცივრებში სასურსათო საქონელს, როგორ იცავდნენ საბჭოთა ვაჭრობის წესებს, დიდად დაგვეხმარა დაგვემყარებინა წესრიგი ამ საქმეებში.

მთავარი სააფთიაქო სამმართველოს და რესპუბლიკის სააფთიაქო ქსელის მუშაობის შემოწმებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ სპეციალისტები, ექიმები და ფარმაცევტები გამოავლინა სერიოზული დარღვევანი და ნაკლოვანებანი მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების საქმეში. იმ ღონისძიებების შედეგად, რომლებიც განახორციელეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მთავარმა სააფთიაქო სამმართველომ, აღმოფხვრილია მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული მშრომელთა სამედიცინო მომსახურებაში სრული სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის.

მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა. თბილისის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა შეისწავლა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მთელი რიგი საკითხები. მათ შორის მანქანათსაშენებელ საწარმოებში მოწყობილობის გამოყენებისა და მისი შენახვის მდგომარეობის საკითხი. ამის შედეგად აღმოფხვრილია ბევრი ნაკლოვანება, აწარმოებენ ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დაცვის ჟურნალებს, გაუმჯობესდა ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ამზადებენ სათადარიგო ნაწილებს და იცავენ მოწყობილობის რემონტის გრაფიკს. ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი დაუდგმელი მოწყობილობის გამოყენებისათვის. ასეთი მოწყობილობა მარტო ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელ ქარხანაში 30 ათას მანეთისაზე მეტი აღმოჩნდა.

ქიმიური მრეწველობის საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი საკითხები წამოაყენა ქუთაისის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა. მისმა წინადადებებმა ხელი შეუწყო ლითოფონის ქარხნის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობაზე, რომლებიც თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით მშრომელთა სულ უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებენ. ისინი უფრო ღრმად სწავლობენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის ეკონომიკას, უფრო კვალიფიციურად ამოწმებენ მათ მუშაობას. ისინი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე აყენებენ გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების ლიკვიდაციის საკითხებს და იბრძვიან მათი აღმოფხვრისათვის. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და ადმინისტრაციამ ხელშემწყობი ჯგუფების წინადადებით განახორციელა ღონისძიებანი, რომლის შედეგად მინიმუმამდე შემცირდა ვაგონების მოცდენა, სატრანსპორტო საამქროში განთავისუფლდა 16 კაცი და ქარხანამ დაახლოებით 22 ათასი მანეთი ხელფასის ფონდი დაზოგა. ხელშემწყობი ჯგუფის ინიციატივით შეგროვდა რაციონალიზატორული წინადადებანი, რომელთა განხორციელებამ მილსაგლინავ საამქროში რამდენიმე ასეული ტონა ლითონი დაუზოგა ქარხანას. გლინვისა და ბრძმედის საამქროებში გამოვლინდა 20 ათას მანეთზე მეტი წამატების ფაქტები.

გურჯაანის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრთა აქტიური მონაწილეობით თითქმის სრულიად აღმოიფხვრა არტელის წევრების მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები. მაგრამ ამასთანავე ამხ. კუჭავამ აღნიშნა, რომ მთელი რიგი ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები სუსტად მუშაობენ.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა, რომლებიც კონტროლს უწევენ სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებას, განაგრძო მომხსენებელმა, უნდა გამოავლინონ და აამოქმედონ შინაგანი რეზერვები და გამოუყენებელი შესაძლებლობანი წარმოების გაფართოებისათვის, იბრძოლონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. იმის შემოწმებამ, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მითითებანი ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ, გამოარკვია, რომ ამ საქმეს ყველგან არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას. ხშირად ნედლეულსა და მასალებს მოძველებული ნორმებით ანაწილებენ და არ ითვალისწინებენ მათი ეკონომიურად ხარჯვის მიღწეულ დონეს.

სოციალისტური კვლავწარმოების ამოცანები მოითხოვენ, რომ მნიშვნელოვნად გადიდდეს რენტაბელობა შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფად ზრდისა და პროდუქციის ერთეულზე მატერიალური დანახარჯების შემდგომი შემცირების საფუძველზე. მაგრამ ამ მხრივ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. მაგალითად, შარშან სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში სამრეწველო-საწარმოო პერსონალის საშუალო გამომუშავებამ გეგმის 98,1 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როცა ერთი მომუშავის საშუალო ხელფასმა შეადგინა 100,6 პროცენტი, ესე იგი შრომის ნაყოფიერება გეგმის შესრულებას 2,5 პროცენტით ჩამორჩა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ყველა საწარმოდან შრომის ნაყოფიერების გეგმა ვერ შეასრულა 120 საწარმომ, ანუ 21,2 პროცენტმა. კონტროლის ორგანოები ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდნენ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს სახსრების ეკონომიურად ხარჯვის საქმეში. ამ მხრივ სასარგებლო მუშაობა გასწიეს კამვოლ-მაუდის კომბინატის სახალხო კონტროლიორებმა. აქ 40-45 ზედმეტი მქსოველი ჰყავდათ, რადგან თითოეული მათგანი ნორმით გათვალისწინებული 4-5 დაზგის ნაცვლად, მხოლოდ ორ დაზგას ემსახურებოდა. კონტროლის აქტივისტთა ჩარევის შემდეგ ავტომატიკაზე უკვე გადავიდა 91 საქსოვი დაზგა და მათი მწარმოებლობა გაიზარდა 21 პროცენტით, ხოლო მთლიანად მაუდის ქსოვის მწარმოებლობა — 6 პროცენტით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების დადგენილებებში და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებებში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ნათლად არის ჩამოყალიბებული დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომ ავამოქმედოთ კვების პროდუქტების წარმოების გადიდების დიდი რეზერვები სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საფუძველზე. მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდი წარმატებების მიუხედავად რესპუბლიკის ბევრ მეურნეობაში ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ სასუქებს, შხამქიმიკატებს, დაუდევრად ეკიდებიან მათი ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების საქმეს.

შარშან „საქსოფლტექნიკის" აფხაზეთის განყოფილების ბაზებსა და რკინიგზის ჩიხებში 3 ათას ტონაზე მეტი მინერალური სასუქები თვეობით ეყარა ღია ცისქვეშ, ფუჭდებოდა წვიმისაგან. გასული წლის შემოდგომაზე სამხრეთ ოსეთის ბაზებში გაფუჭდა 700 ტონა, ხოლო გორში — 500 ტონა სასუქები.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია მეცხოველეობის განვითარების დიდ პერსპექტივებს ქმნის. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების, ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების უპირველესი ამოცანაა ყოველდღიურად იზრუნონ საკვების დამზადებისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის და რაც მთავარია, იმისათვის, რომ საკვები შეიცავდეს ყველა ელემენტს, რომლებიც საჭიროა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ინტენსიური განვითარებისათვის.

ამჟამად მეტწილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ენერგიულად მუშაობენ კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები, ისინი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს, გამგეობებსა და ადმინისტრაციას ეხმარებიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მომზადებაში, რეზერვების ამოქმედებაში. ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილებამ მიაღწია იმას, რომ კოლმეურნეებმა აითვისეს წინა წლებში გამოუყენებელი რამდენიმე ასეული ჰექტარი სათესი ფართობი.

შემდეგ ამხ. კუჭავამ თქვა:

რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები სისტემატურად მუშაობენ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე, საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით მიმდინარეობს ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ვაჭრობა გამდიდრების წყაროდ მიაჩნია. მაგრამ ვაჭრობის წესების დარღვევა კვლავ გრძელდება, მომსახურების კულტურა არც თუ ძალიან მაღალია, ხოლო საზოგადოებრივი კონტროლი სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს ბოროტმოქმედებისა და დატაცების აღსაკვეთად.

ბევრი რამ კეთდება რესპუბლიკაში სახალხო სახსრების დატაცების, ქურდობის, სპეკულაციის, მექრთამეობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად არამარტო ავლენენ დიდ გაფლანგვებსა და დატაცებებს, ამხილებენ დოყლაპიებსა და იმ პირებს, რომლებიც ხელს უწყობენ დამტაცებლებს, არამედ კიდეც სწავლობენ იმ მიზეზებს, რომლებიც ამ სიმახინჯეს იწვევენ, ახორციელებენ ღონისძიებებს მათი თავიდან აცილებისათვის. თელავის, ყვარლის, სიღნაღის, ახალციხის, დუშეთისა და სხვა რაიონებში, ქალაქებში ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში შემოწმების შედეგად თავიდან იქნა აცილებული ფქვილის, მატყლის, ხილისა და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის დატაცების ბევრი ცდა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების, ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ამოცანაა უკეთ იმუშაონ კონტროლის სისტემის მოწესრიგებისათვის, შემოწმების შედეგიანობისათვის, გამონახონ დატაცების თავიდან აცილების, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების გზები.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში დიდი აღმავლობა შეიმჩნევა ნაკლოვანებათა პრაქტიკულად აღმოფხვრის საქმეში, მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც კონტროლის ორგანოებმა უნდა შეასრულონ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შემოწმებულ ობიექტებში საბოლოოდ აღმოიფხვრას ყველა ნაკლი.

კონტროლის ორგანოების საქმიანობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ორგანიზაციულ მუშაობაზე. საჭიროა პარტიულ სახელმწიფო კონტროლის თითოეულ კომიტეტს ჰქონდეს კარგად მოფიქრებული მოქმედების გეგმები და განახორციელოს ისინი.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების აქტიური თანაშემწეა ახალგაზრდობა. რესპუბლიკაში ყველგან არის შექმნილი „კომკავშირული პროჟექტორის" შტაბები და რაზმები, რომლებშიც 38 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მუშაობს. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტებმა და ხელშემწყობმა ჯგუფებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ მათი ახალგაზრდული გატაცება და ენერგია, მეტი დახმარება გაუწიონ, მხარი დაუჭირონ მათ ინიციატივასა და თაოსნობას.

საჭიროა საქმიანი კონტაქტები განვამტკიცოთ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის, უზრუნველვყოთ სახალხო კონტროლის ფართო საჯაროობა. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები თავიანთ მუშაობას საფუძვლად უნდა უდებდნენ არა დასჯას, არამედ დარწმუნებას, ადამიანებისადმი პატივისცემას, მათი მტკიცე ნებისყოფისა და შემოქმედებითი უნარის რწმენას, ამხანაგური დახმარება გაუწიონ მათ შეცდომათა გამოსწორებაში.

დასასრულ ამხ. კუჭავამ რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაკების, ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრთა მრავალრიცხოვანი არმიის, მთელი აქტივის სახელით აღუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეული თანაშემწენი იყვნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ფრუიძემ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდსა და სასარგებლო მუშაობას ეწევიან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები თბილისის საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში. მან აღნიშნა, რომ ქალაქში შეიქმნა კონტროლის ხელშემწყობი 8237 ჯგუფი და საგუშაგო, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ წარმოების მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები და პენსიონერები — სულ დაახლოებით 30 ათასი კაცი. სახალხო კონტროლიორები აქტიურად ეხმარებიან საწარმოთა ხელმძღვანელებს, პარტიულ ორგანიზაციებს სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, სახსრების ეკონომიისათვის ბრძოლაში, ეწევიან დიდ მუშაობას იმისათვის, რომ გაითვალისწინონ და აღკვეთონ სოციალისტური კანონიერების დარღვევა, იბრძვიან ბიუროკრატიზმის, სახალხო დოვლათის დამტაცებელთა წინააღმდეგ.

ორატორმა მოიყვანა ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების დადებითი მუშაობის მაგალითები. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს ხელშემწყობმა ჯგუფმა საშტატო საკონტროლო აპარატის შემცირებისა და საზოგადოებრივ საწყისებზე კომკავშირული და პროფკავშირული აქტივისტებისათვის კონტროლის ფუნქციების გადაცემის გზით მარტო გასულ წელს სახელმწიფოს დაუზოგა 11 ათას მანეთზე მეტი. კარგი ინიციატივა გამოიჩინა ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის წინადადებით პირველმა წამოიწყო ბრძოლა შავი და ფერადი ლითონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მოწესრიგებისათვის, ვალდებულება იკისრა 1964 წელს შეამციროს შავი ლითონების ხარჯვა 200 ტონით, ხოლო ფერადი ლითონებისა — 16 ტონით. კარგად მუშაობს აგრეთვე № 1 მექანიკური ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი.

კონტროლის ორგანოების დახმარებით სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა ქალაქის სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის გასაუმჯობესებლად. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს, და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშაობა კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის, სავაჭრო ობიექტები თანდათანობით იწმინდება უპატიოსნო მუშაკებისაგან, სავაჭრო საწარმოთა ცალკეული ხელმძღვანელები შეცვალეს უფრო მომზადებულმა და საქმის მცოდნე ადამიანებმა.

ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს, თქვა დასასრულ ამხ. ფრუიძემ, თავის ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ გააძლიერონ დახმარება და ხელმძღვანელობა კონტროლის ორგანოებისადმი, მიაღწიონ იმას, რომ ამ ორგანოების მუშაობა უფრო ქმედითი, აქტიური გახდეს.

— აფხაზეთის ასსრ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები, — თქვა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **ო. ორანსკიმ**, — ახორციელებენ სერიოზულ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების რაციონალურად გამოყენების გაუმჯობესება, თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ ბოროტმოქმედებისა და დანაშაულთა თავიდან აცილებასა და აღკვეთას. გარკვეული მუშაობა შესრულდა იმისათვის, რომ გავაძლიეროთ კონტროლი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, აგრეთვე იმ საწარმოთა მუშაობისადმი, რომლებიც მასობრივი მოხმარების საქონელს აწარმოებენ.

სერიოზული მუშაობა შეასრულეს კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფებმა, საგუშაგოებმა აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის, მოსავლის აღებისათვის, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების მასობრივი შემოწმების დროს. ამ შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო 7 ათასზე მეტმა კაცმა. ორატორმა მოიყვანა იმის მაგალითები, თუ როგორ აიცილეს თავიდან და აღკვეთეს ბოროტმოქმედების ცდები, როგორ გაუმჯობესდა საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმის მდგომარეობა ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ჩარევის შედეგად.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს დახმარება პარტიისა და სახელმწიფოსათვის სკკპ პროგრამის შესრულებაში, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემატური შემოწმების ორგანიზაციაში, კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან.

ბათუმის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებისა და მათი აქტივის მუშაობის შესახებ კრებაზე ილაპარაკა ბათუმის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. რატიანმა**. ქალაქში შეიქმნა 50 კომისია, რომლებიც აწყობენ შემოწმებას და დახმარებას უწევენ ხელშემწყობ ჯგუფებს შავი და ფერადი ლითონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მასობრივად შემოწმების საქმეში. შემოწმებამ ცხადყო, რომ ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელები სერიოზულად არ ეკიდებიან ამ საკითხს. მაგალითად, ცხრა საწარმოში აღმოჩნდა, რომ აღრიცხული არ არის 474 ტონა შავი და 1.400 კილოგრამი ფერადი ლითონები. სახალხო კონტროლიორთა დახმარებით ეს ნაკლი სწორდება. მუშაობამ, რაც ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ხელშემწყობმა ჯგუფმა განახორციელა, ხელი შეუწყო იმას, რომ მოკლე ხანში რკინიგზით გაიგზავნა 22.700 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, საზღვაო ტრანსპორტით კი — ათასობით ტონა მოწყობილობა, რომელიც თვეობით ეწყო ნავსადგურში. დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ტვირთის გაგზავნასთან დაკავშირებით ხელშემწყობმა ჯგუფმა დააწესა ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრთა სადღეღამისო მორიგეობა, რის შედეგად ყველა გემი დატვირთეს ვადაზე ადრე.

კომკავშირელ პროჟექტორისტთა 38-ათასიანი არმიის სახელით კრებაზე გამოვიდა „კომკავშირული პროჟექტორის" რესპუბლიკური შტაბის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ხოზბერიძე**. კომკავშირელი კონტროლიორები, თქვა მან, პარტიის ერთგული თანაშემწენი არიან კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. მან მოიყვანა საინტერესო ფაქტები კომკავშირული პროჟექტორის შტაბის საქმიანობის შესახებ. მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ახალგაზრდობა მთლიანად როდი იყენებს „კომკავშირული პროჟექტორის" მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს, ბოლომდე არ მიჰყავს დაწყებული საქმე და სჯერდება რეიდების მოწყობას. უმეტეს შემთხვევაში გეგმებს ადგენენ ისე, რომ არ ითვალისწინებენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების, ხელშემწყობი საგუშაგოებისა და ჯგუფების ძირითად ამოცანებს. არადამაკმაყოფილებლად შუქდება რესპუბლიკური ახალგაზრდული პრესის ფურცლებზე „კომკავშირული პროჟექტორების" საქმიანობა.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. გაზაევი** შეეხო ნაკლოვანებებს ოლქის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების, ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობაში. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები, — აღნიშნა მან, — სუსტად სწვდებიან საწარმოთა საქმიანობას. ვერ აღმოფხვრეს დატაცებანი და სხვა ბოროტმოქმედება, ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები სუსტად ეყრდნობიან საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს, საკმაოდ არ სწავლობენ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ სოციალისტური კანონიერების დარღვევებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. სახალხო კონტროლის აქტივისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქმედით მონაწილეობას არ იღებს მუშაობაში. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და ორგანიზაციაში შექმნილი არ არის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის საჭირო პირობები. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები მცირერიცხოვანია, არის ისეთი ორგანიზაციებიც, სადაც სრულიადაც არაა შექმნილი ხელშემწყობი ჯგუფები.

ცუდად იმუშავეს ოლქის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა იმისათვის, რომ გამოევლინათ და უსასყიდლოდ ჩამოერთმიათ სახლები, აგარაკები და სხვა ნაგებობანი იმ პირებისათვის, რომლებმაც ააშენეს ან შეიძინეს არაშრომითი შემოსავლით. დღეისათვის არც ერთი ასეთი სახლი არ არის ჩამორთმეული.

მთელი ჩვენი საქმიანობა, თქვა მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარემ **ს. ჩხაიძემ**, მიზნად ისახავს იმას, რომ ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას, შინაგანი რეზერვების გამოძებნას, აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვას, ყველა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების ლიკვიდაციას. ამ საკითხთა მოსაგვარებლად კოლმეურნეობის ხელშემწყობმა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა ბევრი რამ გააკეთეს. მარტო გასულ წელს მათ 70-ზე მეტი შემოწმება განახორციელეს. ამ ბოლო დროს ისინი დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ შეაქვთ მინერალური სასუქები ნიადაგში აგროქიმიური კარტოგრამების მიხედვით. გამოირკვა, რომ ჩაის პლანტაციებში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანისას არ იცავდნენ აგროქიმიური კარტოგრამებით გათვალისწინებულ დოზებს. სახალხო კონტროლიორების სიგნალის მიხედვით კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ და გამგეობამ შესაბამისი ღონისძიებანი განახორციელეს.

არტელის პარტიულმა ორგანიზაციამ და გამგეობამ მხარი დაუჭირეს ჯგუფის ინიციატივას კოლმეურნეობაში მექანიზებული რგოლის შექმნის შესახებ. რგოლი უკვე დიდ და სასარგებლო მუშაობას ახორციელებს.

იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი ვაჭრობის პროგრესული ფორმების დანერგვისათვის, მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის მატერიალურ ფასეულობათა დაცვის საქმეში კრებაზე ილაპარაკა თბილისის ცენტრალური უნივერმაღის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარემ **ნ. გიორგაძემ**. მაგრამ, აღნიშნა მან, ჯგუფის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ბევრი ნაკლი, სათანადო სიმაღლეზე არ დგას აგრეთვე ბრძოლა გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

პარტიისა და მთავრობის მითითებების განსახორციელებლად პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების შესახებ, საქართველოს პროფკავშირთა ორგანიზაციების ინიციატივით ყველა სავაჭრო ორგანიზაციასა და სასადილოების ტრესტში შეიქმნა და წარმატებით მუშაობენ საზოგადოებრივი კონტროლის კომისიები, განაცხადა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **დ. იოსელიანმა**. საქართველოს პროფსაბჭოსთან საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს კონტროლის ხელშემწყობი ორი საბჭო-საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საბჭოები. კომისიები და საბჭოები მრავალფეროვან მუშაობას ახორციელებენ, სამეურნეო ორგანოებს ეხმარებიან იმ ამოცანათა განხორციელებაში, რომლებიც მათ წინაშე დასახეს პარტიამ და მთავრობამ, ცდილობენ, რომ თითოეულმა სავაჭრო ორგანიზაციამ შეასრულოს საქონელბრუნვის გეგმები, ხელს უწყობენ, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა დანერგონ მშრომელთა მომსახურების ახალი პროგრესული ფორმები. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საბჭოს მასალებით პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ბევრჯერ განიხილა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის აქტუალური საკითხები, განახორციელა ღონისძიებანი ამ საქმის გაუმჯობესებისათვის.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის კონტროლის გაძლიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე ილაპარაკეს ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. კოსიანმა**, კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის წევრმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი საამქროს ამწის მემანქანემ **ა. რაფაელოვამ**, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილემ **ო. ბოჭოიძემ**.

რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა ამოცანებზე ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელმძღვანელი კადრებისა და საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების გამგემ **ვ. გორინმა**.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ**.

წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, აღნიშნა ამხ. მჟავანაძემ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობის გადაწყვეტილება ჩვენს ქვეყანაში კონტროლის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო პარტიის ისტორიული XXII ყრილობის მითითებანი იმის შესახებ, რომ ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი, რომელიც მოიცავს სახალხო მეურნეობის თითოეულ დარგს, აუცილებელი წანამძღვარია საბჭოთა საზოგადოების წარმატებით წინსვლისათვის კომუნიზმის გზაზე.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს პარტიამ მთავარ პოლიტიკურ ამოცანად დაუსახა დახმარება გაუწიონ პარტიასა და სახელმწიფოს სკკპ პროგრამის შესრულებაში. კონტროლის ახალი ორგანოების ძირითადი ყურადღება პარტიამ მიაპყრო სოციალისტური ეკონომიკის განვითარების, მრეწველობის სახელმწიფო გეგმების რეალიზაციის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა და მითითებების განუხრელად შესრულების საკითხებს.

ვაჯამებთ რა საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების საქმიანობას, ამბობს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასახულ ამოცანებს ისინი ცუდად როდი ასრულებენ. რესპუბლიკის კონტროლის ორგანოები იყენებენ მუშაობის მრავალგვარ ფორმასა და მეთოდს და დადებით შედეგებს აღწევენ, აქტიურად ეხმარებიან პარტიასა და მთავრობას სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში სახელმწიფო სახსრებისა და მასალების ხარჯვაში წესრიგის დამყარებას. მაგალითად, შემოწმების შედეგად, რომელიც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა მოაწყო, დადგინდა საწვავ-საპოხი მასალების არასწორი ხარჯვის ფაქტები ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სისტემაში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებმა განახორციელეს შესაბამისი ღონისძიებანი გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რამაც დიდი ეკონომიური ეფექტი მოგვცა.

დიდი და სასარგებლო მუშაობა გასწიეს კონტროლის ორგანოებმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დებიტორული დავალიანების ასანაზღაურებლად. ორი თვის განმავლობაში — გასული წლის ნოემბერსა და დეკემბერში — მათ აუნაზღაურდათ 4,5 მილიონი მანეთი, აქედან საზოგადოებრივი საკუთრების გაფლანგვისა და დატაცების თანხა — 226 ათასი მანეთი.

ამხ. მჟავანაძე ეხება მუშაობას, რომელიც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა გასწიეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების აქტიური მონაწილეობით ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის მნიშვნელოვანი შემცირებისა და სრულყოფისათვის, რამაც შესაძლო გახადა ამ აპარატის შესანახი ხარჯების შემცირება.

მასობრივმა შემოწმებებმა, რაც რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა განახორციელა რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტზე, საშუალება მოგვცა გამოგვევლინებინა ექსპლოატაციის წესების უხეში დარღვევები, რომლებიც მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს აყენებდნენ სახელმწიფოს. შემოწმებათა შედეგების მიხედვით სატრანსპორტო ორგანიზაციებში განხორციელდა შესაბამისი მუშაობა, რომელმაც საგრძნობი შედეგი მოგვცა.

შეიძლება აღინიშნოს, ამბობს ამხ. მჟავანაძე, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომლებიც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა განახორციელეს და რომელთა მიზანია საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესება, საბჭოთა კანონიერების განუხრელად დაცვა, სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. მჟავანაძემ მიუძღვნა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების შემდგომი მუშაობის საკითხს. მან აღნიშნა, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების საქმიანობის წარმატებას განსაზღვრავს არა შემოწმებათა და გადაწყვეტილებათა რაოდენობა, არამედ ამ ღონისძიებათა რეალური შედეგი. შედეგი უნდა იყოს ერთი: ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და, რაც მთავარია, მათი წარმომშობი მიზეზების ძირფესვიანად აღკვეთა, ამა თუ იმ ბოროტმოქმედების ჩადენის შესაძლებლობათა ლიკვიდაცია. მეტად საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ, კარგად გავერკვეთ, რა მიზეზებმა შეუწყვეს ხელი დატაცებას ან გადახარჯვას და, ამის შესაბამისად, მივიღოთ ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები აღჭურვილი არიან ფართო უფლებებითა და რწმუნებებით. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა, რომ ისინი სწორად იყენებდნენ თავიანთ უფლებებს, სიფრთხილეს და დაკვირვებას იჩენდნენ ყოველ ცალკე შემთხვევაში, ჰქონდეთ უნარი წინასწარი განზრახვით ჩადენილი დანაშაული განასხვაონ უნებლიე შეცდომისაგან, რომელიც ამა თუ იმ პირს მოუვიდა საკმაო ცოდნის ან გამოცდილების უქონლობის გამო.

თვითონ რომ არ მოუვიდეთ შეცდომები, და ყოველი საკითხი სწორად და სამართლიანად გადაწყვიტონ, კონტროლის ორგანოების მუშაკებს ისეთი სრულიად აუცილებელი თვისებების გარდა, როგორიცაა პატიოსნება, პრინციპულობა, მიუკერძოებლობა, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა, ისინი უნდა იყვნენ იმ დარგის სპეციალისტები, რომლებშიც უხდებათ მუშაობა. ამისათვის საჭიროა, განაგრძობს ამხ. მჟავანაძე, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაკები განუწყვეტლივ იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, იძენდნენ ცოდნას, მხარს უსწორებდნენ ცხოვრებას, იცნობდნენ მეცნიერულ და ტექნიკურ სიახლეებს, მოწინავე გამოცდილების მიღწევებს. უამისოდ ისინი ვერ იქნებიან მოწოდების სიმაღლეზე, ვერ გაუწევენ კონკრეტულ, საქმიან დახმარებას საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, სამეურნეო საქმიანობის მოგვარებასა და სრულყოფაში.

პროდუქციის ხარისხის, საწარმოთა რენტაბელობის საკითხები მუდამ უნდა იყოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების ყურადღების ცენტრში. ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი სახეობის პროდუქციის, განსაკუთრებით ფართო მოხმარების ზოგიერთი საქონლის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. რესპუბლიკაში დამზადებული ტექსტილი, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟის ნაწარმი და სხვა საქონელი ვერ საღდება მოსახლეობაში, ჩაწოლილია საწყობებში, მაღაზიებში. ეს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები მოვალენი არიან შეისწავლონ მიზეზები და გარემოებანი, რომლებიც იწვევენ საწარმოთა ზარალიანობას, ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, და დროზე დასვან საკითხი, შეიტანონ კონკრეტული წინადადებანი შესაბამის პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებში, რათა საერთო ძალღონით აღმოიფხვრან ეს მიზეზები.

ამხ. მჟავანაძემ კრების მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც კონტროლის ორგანოების წინაშე დასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელმაც განიხილა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხები. მარცვლეული კულტურების სათესი ფართობების გადიდება გამოუყენებელი მიწების დამუშავებით, სარწყავი მიწების რაციონალურად გამოყენება, პირუტყვის გასუქების სწორი ორგანიზაცია, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შესანახი ხარჯების შემდგომი შემცირება, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მტკიცედ დაცვა — ესა და ბევრი სხვა საკითხი უნდა გახდეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა მუდმივი ზრუნვის საგანი.

კონტროლის ორგანოები თავიანთ მრავალრიცხოვან აქტივთან ერთად დახმარებას უნდა უწევდნენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტიანად გამოყენებაში, მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესებაში, მოწინავე აგროტექნიკისა და შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვაში, ეკონომიურად სუსტი მეურნეობების მოწინავეთა დონემდე აყვანაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მინერალური სასუქების სწორად ხარჯვასა და გამოყენებას, ადგილობრივი ორგანული სასუქების, რაც შეიძლება სრულად და ფართოდ გამოყენებას.

ამხ. მჟავანაძე აღნიშნავს, რომ საჭიროა სისტემატურად გავუწიოთ კონტროლი ახალი ასაშენებელი ობიექტების, უწინარეს ყოვლისა, ქიმიის საწარმოების მშენებლობის მიმდინარეობასა და ხარისხს. უნდა ვეცადოთ, რომ მივაღწიოთ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას, სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა რაციონალურად გამოყენებას.

დიდი ადგილი დაუთმო ამხ. მჟავანაძემ თავის გამოსვლაში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების კავშირს მშრომელთა ფართო მასებთან. მან აღნიშნა, რომ ხალხთან მჭიდრო და ფართო კავშირი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების წარმატებითი საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა. მუშაობაში მათ უნდა ჩაბან არა მარტო კომუნისტები, არამედ აგრეთვე უპარტიონი, ქალები, ახალგაზრდობა. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები უნდა გახდნენ მასობრივი სახალხო კონტროლის პრაქტიკული ორგანიზატორები.

ამასთან საჭიროა სისტემატურად ვაუმჯობესოთ კონტროლის სტილი, ფორმები და მეთოდები, განვაზოგადოთ მუშაობის დადებითი გამოცდილება.

კონტროლის ორგანოები, რომლებიც მუშაობენ კომუნისტური მშენებლობის საკითხებზე, ეხმარებიან პარტიასა და მთავრობას სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით შესრულებაში, მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ სახელმწიფო აპარატის ყოველმხრივ განვითარებას და გაუმჯობესებას, შეუნელებლად ბრძოლა აწარმოონ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ.

ამხ. მჟავანაძე აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია უფრო ხშირად განვიხილოთ შემოწმების შედეგები უშუალოდ ადგილებზე მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა აქტივის ფართო მონაწილეობით. ეს ხელს შეუწყობს კადრების აღზრდას, პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებას სხვადასხვა დარღვევისა და ბოროტმოქმედების თავიდან აცილებისათვის.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მთელი საქმიანობა, განაგრძობს ამხ. მჟავანაძე, უნდა ხორციელდებოდეს უშუალო პარტიული ხელმძღვანელობით. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. პარტიის ცალკეული რაიონული კომიტეტები, სამრეწველო საწარმოო ზონებისა და საწარმოო სამმართველოების პარტკომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ ხელმძღვანელობას არ უწევენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივ ორგანოებს, კონტროლის ორგანოების ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებს. პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტად უნდა ეხმარებოდნენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს, უფრო სრულად უნდა იყენებდნენ სახალხო კონტროლის ძალას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რესპუბლიკურმა ორგანოებმა ცოტა მუშაობა როდი გასწიეს და ამ მუშაობის დადებითი შედეგები იგრძნობა სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში. ახლა ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებები, განვაზოგადოთ მუშაობაში შეძენილი გამოცდილება, მივაღწიოთ ყველა რგოლის შემდგომ ორგანიზაციულ განმტკიცებას, გავაძლიეროთ ბრძოლა პარტიისა და მთავრობის მითითებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამბობს დასასრულ ამხ. მჟავანაძე, გამოთქვამს რწმენას, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები, მისი მრავალრიცხოვანი აქტივი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით პირნათლად შეასრულებენ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც მათ კომუნისტურმა პარტიამ დააკისრა.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე, რომელშიც პირობას იძლევიან პირნათლად შეასრულონ ყველა დაკისრებული ამოცანა. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲙᲐᲘᲠᲝᲨᲘ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘᲐ

◆

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

◆

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲡ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ

ᲛᲝᲣᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ

კაირო, 21 მარტი. (საკდესი). კაიროს პრესის ყურადღების ცენტრშია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტი მაისში. „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი,— წერს გაზეთი „აჰბარ ელიაუმი“, ისარგებლებს ამ შესაძლებლობით, რათა მადლობა უძღვნას საპატიო სტუმარს საბჭოთა კავშირის პოზიციისათვის და იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც მან აღმოგვიჩინა გაჭირვების დროს“. ნ. ს. ხრუშჩოვი, — განაგრძობს გაზეთი, — ჩვენს მხარეზე იყო სუეცის კრიზისის დროს, როცა მთავრობამ სუეცის არხის ნაციონალიზაცია გამოაცხადა. არც ერთ არაბს არასდროს არ დაავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირმა გააფრთხილა აგრესორები და უდაოდ სწორედ ამ გაფრთხილებამ შეწყვიტა აგრესია. ჩვენ არასდროს არ დავივიწყებთ იმ პატივისცემას და გაგებას, რომელსაც იჩენენ საბჭოთა ხელმძღვანელები მიუმხრობლობისა და პოზიტიური ნეიტრალიტეტის ჩვენი პრინციპების მიმართ.

და ბოლოს ჩვენ არასდროს არ დავივიწყებთ იმას, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა მხარი დაუჭირა ჩვენს ქვეყანას იმ მომენტში, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა უარი განაცხადეს ფინანსური დახმარება გაეწიათ მაღლივი კაშხალის მშენებლობისათვის. საბჭოთა კავშირმა ტექნიკური და ფინანსური დახმარება შემოგვთავაზა ჩვენი ოცნების განხორციელებისათვის“.

„როცა ხრუშჩოვი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვა, ის უცხოეთში არ იგრძნობს თავს, — წერს გაზეთი „ალ-გუმხურია“ — ნ. ს. ხრუშჩოვმა ადვილად მოიპოვა ჩვენი ხალხის სიმპათიები, მან არა ერთხელ დაუჭირა მხარი არაბი ხალხის უფლებებს“...

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

პიზა, 22 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი გენუიდან მატარებლით ჩამოვიდა პიზაში. სადგურში მას შეხვდნენ ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენელნი პიზის პრეფექტის მეთაურობით, აგრეთვე იტალიის სახელმწიფო ნავთობმეტანის გაერთიანება „ენის“ ხელმძღვანელები. ამ ქალაქში ხანმოკლე ყოფნის დროს ა. ნ. კოსიგინმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს პიზის ღირსშესანიშნაობანი, კერძოდ, ნახეს პიზის ცნობილი დახრილი კოშკი. შემდეგ ისინი ავტომანქანებით გაემგზავრნენ ფლორენციაში.

ფლორენცია, 22 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც ვიზიტად არის იტალიაში იტალიის მთავრობის მოწვევით, დღეს იყო ფლორენციაში, სადაც გაეცნო მექანიკური ქარხნის „ნუოვო პინიონეს“ მუშაობას.

შემდეგ საწარმოს დირექციამ სადილი გამართა ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად.

საღამოს ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები ფლორენციიდან მატარებლით გაემგზავრნენ სამხრეთ იტალიაში. ხვალ ისინი ეწვევიან სიცილიის რამდენიმე ქალაქს.

ᲑᲐᲜᲓᲣᲜᲒᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲐᲖᲘᲐ-ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔ-6 ᲡᲔᲡᲘᲐ

□

ალჟირი, 23 მარტი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის საბჭოს VI სესია. 70 ქვეყნის წარმომადგენელნი განიხილავენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საარსებო პრობლემებს, ომისა და აგრესიის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს, იმპერიალისტური ბატონობის ლიკვიდაციის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხებს.

სესიის დღის წესრიგშია აგრეთვე იმ კონკრეტული ღონისძიებების საკითხები, რომ დახმარება გაუწიონ აფრიკისა და აზიის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის. სესიის მონაწილენი განიხილავენ მეთოდებსა და საშუალებებს აფრიკა-აზიის სოლიდარობის მოძრაობის განსამტკიცებლად. სესიაზე გამოვიდა სახალხო დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბენ ბელა, რომელიც შეეხო აფრიკის ერთობის პრობლემას. მან ილაპარაკა ანგოლის, „პორტუგალიის“ გვინეის, მოზამბიკის, სამხრეთ როდეზიის, სამხრეთ აფრიკისა და სხვა ქვეყნების ხალხთა ბრძოლასთან სოლიდარობაზე, რომლებიც კოლონიურ უღელქვეშ არიან.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „აზია-აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის მე-2 კონფერენციის მოწვევა გააღრმავებდა ჩვენი ორი კონტინენტის ხალხთა სოლიდარობას“.

შეეხო რა სხვა საკითხებს, ბენ ბელამ თქვა: „საჭიროა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობის საკითხებისადმი მიძღვნილმა კონფერენციამ დასახოს ახალი მიმართულება, რათა ჩვენს ხალხებს შეეძლოთ თავისუფლად გამოიყენონ თავიანთი სიმდიდრე, და შექმნას პირობები ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან ეკვივალენტური გაცვლისათვის...“

შემდეგ პრეზიდენტი შეეხო საყოველთაო განიარაღების პრობლემას.

სესიის მონაწილეთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივმა სამდივნოს გენერალურმა მდივანმა იუსეფ სიბაიმ.

შემდეგ ალჟირის დელეგატმა მოჰამედ იაზიდი, რომელიც სესიას თავმჯდომარეობს, აცხადებს, რომ სესიის მონაწილეთა სახელზე მიღებულია მთელი რიგი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა მისალმებანი.

ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა იუსეფ სიბაიმ წაიკითხა ეს წერილები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „საბჭოთა ხალხი და მისი მთავრობა მტკიცედ და თანამიმდევრულად უჭერდნენ და უჭერენ მხარს აზიისა და აფრიკის ხალხთა გმირულ ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის“, სესიის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

კაირო, 22 მარტი. (საკდესი). დღეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა შედეგები ეროვნული კრების განმეორებითი არჩევნებისა 147 საარჩევნო ოლქში. როგორც ცნობილია, პირველ არჩევნებში 10 მარტს მხოლოდ 109 კანდიდატმა მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა. ამიტომ მოეწყო განმეორებითი არჩევნები. განმეორებითი არჩევნები გაიმართა 19 მარტს. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კანონით 175 საარჩევნო ოლქიდან თითოეულ ოლქში ეროვნულ კრებაში უნდა აირჩიათ ორ-ორი დეპუტატი. ახალ პარლამენტში ორი კენჭისყრის დროს არჩეულია 350 კაცი, აქედან 114 — მუშების წარმომადგენელი, 74 — გლეხებისა და 162 — მოსახლეობის სხვა ფენის წარმომადგენელი.



„კურტ შმიუკერის ორი სახე“ — ასეთი წარწერით გამოაქვეყნა კარიკატურა გაზეთმა „მეტალმა“, დასავლეთ გერმანიის მელითონეთა პროფკავშირის ორგანომ. შმიუკერი, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელ მთავრობაში მეურნეობის მინისტრის პოსტი უჭირავს, ზრუნავს იმისათვის, რომ მეწარმეებს მაღალი კონიუნქტურა შეუქმნას, მუშებს კი მარტო წარმტაცი დაპირებებით კვებავს.

ᲕᲘᲮᲡᲜᲐᲗ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ!

ნიუ-იორკი, 21 მარტი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განმახორციელებელმა 24 ქვეყნის სპეციალურმა კომიტეტმა მოუწოდა ინგლისის მთავრობას მთელი თავისი უფლებამოსილება გამოიყენოს, რათა სისრულეში არ მოიყვანონ სასიკვდილო განაჩენები, რომლებიც რასისტულმა ხელისუფლებმა სამხრეთ როდეზიაში ორ აფრიკელ ნაციონალისტს — რიჩარდ მაპოლისას და ბენონი სიბანდას გამოუტანეს.

ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა ცდები წინააღმდეგობა გაეწიათ ამ მიმართვის მიღებისათვის, ერთსულოვნად და გულისწყრომით დაგმო კომიტეტის უმრავლესობამ. ინგლისის დელეგატი ჯეკლინგი იძულებული იყო პირობა მიეცა კომიტეტის წევრებისათვის, რომ ამ მიმართვას აცნობებს ინგლისის მთავრობას.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მოსკოვი, 21 მარტი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 1963 წლის 31 დეკემბერს წერილი გაუგზავნა მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს, მიღებულია კუვეიტის სახელმწიფოს ემირის აბდალა ას-სალემ ას-საბაჰის პასუხი.

სავსებით ბუნებრივია, ნათქვამია წერილში, რომ ხელშეკრულების დადებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, რომელიც მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლის საქმის კეთილი დასაწყისია, „უნდა მოჰყვეს ახალი ღონისძიებანი, რომლებიც სულ უფრო მოგვაახლოვებენ მუდმივ მშვიდობას“.

„სავსებით გეთანხმებით, — ნათქვამია პასუხში, — რომ ტერიტორიული დავა და სასაზღვრო პრობლემები მუდმივ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას, აგრეთვე გეთანხმებით, რომ ომი როგორც ამ დავის მოწესრიგებისა და ასეთი პრობლემების გადაჭრის საშუალებას, უსათუოდ შეეწირავდა უამრავი ადამიანის სიცოცხლესა და მატერიალურ ფასეულობას. მაშასადამე, სახელმწიფოებმა, რომლებიც დავობენ ამჟამად არსებული საზღვრების გამო, უნდა შეისწავლონ ეს საკითხები, რათა ისინი მშვიდობიანი გზით მოაწესრიგონ“.

წერილში კუვეიტის ემირი სავსებით ეთანხმება ნ. ს. ხრუშჩოვის გამონათქვამებს იმის შესახებ, რომ ჩაგრულ ხალხებს უფლება აქვს აწარმოონ ბრძოლა თავიანთი განთავისუფლებისათვის და უზრუნველყონ თავიანთი თავისუფლებები და დამოუკიდებლობა.

ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ

ვაშინგტონი, 21 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო გვატყობინებს:

ამ კვირაში ვაშინგტონში სამ დღეს მიმდინარეობდა ლათინურ ამერიკაში აკრედიტებული ამერიკის შეერთებული შტატების ელჩების თათბირი. ამ თათბირის შედეგად აქაურ პრესაში დაბეჯითებით ვრცელდება ხმები, რომ შეერთებული შტატები მოემზადნენ „შეცვალონ“ თავიანთი პოლიტიკა ლათინური ამერიკის მიმართ. მაგრამ განა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, სახელდობრ გასული წლის 26 ნოემბრიდან, როცა ჯონ კენედის მკვლელობიდან ოთხი დღის შემდეგ თეთრ სახლში გამოიძახეს ლათინური ამერიკის ქვეყნების ელჩები და პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა საჯაროდ აღუთქვა მათ, რომ იგი განსვენებული პრეზიდენტის პოლიტიკას არ გადაუხვევს.

მაშ რა ცვლილებაზეა ლაპარაკი ახლა? გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ხაზს უსვამს, რომ შეერთებული შტატები „ახალ პოლიტიკას“ ამუშავებენ იმ სამხედრო გადატრიალებათა მიმართ, რომლებიც ლათინური ამერიკის ქვეყნებში ხდება. ამ პოლიტიკის არსი ის არის, რომ ვაშინგტონი „აღარ დასჯის მემარჯვენე დიქტატორულ რეჟიმებს“. ჯ. კენედის მთავრობამ ექვსჯერ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა და ეკონომიური დახმარება მოუსპო ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებს, სადაც მხედრიონმა მთავრობა დაამხო. ახლა პრეზიდენტობის პრეტენდენტებს შეუძლიათ აღარ ეშინოდეთ ვაშინგტონის ასეთი „წყრომისა“. ამით ლათინური ამერიკის მხედრიონს ძალაუფლების ხელში ჩაგდების ფართო შესაძლებლობა ეძლევა. ეს ახალი „ფორმულა“ თავისებური არაორაზროვანი გაფრთხილებაა ლათინური ამერიკის იმ მთავრობებისათვის, რომლებსაც არ სურთ დაემორჩილონ ვაშინგტონის მითითებებს.

ოფიციალური პირები უარყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რამდენადმე შეცვლიან პოლიტიკას ლათინური ამერიკის მიმართ. მაგრამ, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში რ. ფილიპსმა, რომელმაც განმარტა გაზეთის ცნობები ამ თემაზე, თქვა, რომ „არაკონსტიტუციური მთავრობების“ მიმართ ამერიკის შეერთებული შტატები იხელმძღვანელებენ თავიანთი ეროვნული ინტერესებით და „გარემოებებით, რომლებიც დამახასიათებელია თითოეული ცალკეული სიტუაციისათვის მათი შექმნის ქვალობაზე“. მიმომხილველებს ეს განცხადება მიაჩნიათ იმ ვარაუდის დადასტურებად, რომ მომავალში გადაუხვევენ კენედის მთავრობის პოლიტიკას.

ლათინური ამერიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პოლიტიკის „არქიტექტორად“ ასახელებენ თომას მანს — პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწეს და სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ამერიკის ქვეყნების საქმეებში. იგი გამოვიდა ელჩების თათბირზე და განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა იხელმძღვანელონ პრაგმატიზმით, დიპლომატიური პროფესიონალიზმით და თავს არ მოახვიონ ლათინურ ამერიკას დემოკრატია.

ამერიკის შეერთებული შტატების უფრო მაგარი პოლიტიკის კურსი ლათინური ამერიკის მიმართ განსაკუთრებით ჩანს პანამის მაგალითით. ამ დღეებში ლათინური ამერიკის ყველა იმ ქვეყნის ელჩებმა, რომლებიც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრები არიან, მხარი დაუჭირეს „მშვიდობიან ფორმულას“, რომელიც აღადგენდა შეერთებული შტატებისა და პანამის ურთიერთობას. ეს, როგორც მეთვალყურენი ამტკიცებენ, იყო 27-ე „ფორმულა“, რომლებიც პანამის კრიზისის 10 კვირის მანძილზე შეიმუშავეს. ინტერესს არ არის მოკლებული, რომ ეს ფორმულა, გაზეთების ცნობით, მანქანაზე საკუთარი ხელით დაბეჭდა... თომას მანმა ლათინური ამერიკის ელჩების თანდასწრებით.

მაგრამ მაგარი კურსის მქადაგებლის მანის ფორმულაც კი, როგორც ჩანს, ხელს არ აძლევს თეთრ სახლს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს ოდნავადაც არ სურთ დათმონ თავიანთი ინტერესები პანამაში.

ეს პოზიცია, ამერიკის გაზეთების აღიარებით, გულგატეხილობას იწვევს ლათინური ამერიკის მთავრობებში. თუმცა ვაშინგტონი თანამშრომლობის, თანასწორი პარტნიორობის, პატივისცემის ხელგაშლილ დაპირებებს იძლევა, საქმით კვლავ განაგრძობს ლათინურ ამერიკაში იმპერიალისტური დიქტატის პოლიტიკას.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

Ა. ᲜᲝᲕᲝᲢᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

მეხიკო, 23 მარტი. (საკდესი). ჩვენ სავსებით მხარს ვუჭერთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოწვეულ კონფერენციას ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე, რომელზეც უნდა განიხილონ და მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი ყველა არსებული სიძნელეების გადასალახად, რომლებიც ხელს უშლიან მსოფლიო ვაჭრობის განვითარებას, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ მექსიკის ჟურნალ „სიემპრესადმი“ მიცემულ ინტერვიუში.

ამჟამად ვაჭრობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა, თითქმის ერთისამად გაიზარდა 1948 წელთან შედარებით. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელებისათვის და სხვადასხვა სოციალური სისტემების სახელმწიფოთა შეჯიბრებისათვის, რასაც განუხრელად ახორციელებს ჩეხოსლოვაკია.

ა. ნოვოტნი შეეხო კუბის რევოლუციის მნიშვნელობის საკითხს და თქვა, რომ კუბის რევოლუცია საკვანძო ისტორიული მომენტია ლათინური ამერიკის ყველა ხალხის ბრძოლაში. დარწმუნებული ვართ, თქვა შემდეგ ა. ნოვოტნიმ, რომ კუბელი ხალხი სოციალისტური ქვეყნების ხალხების დახმარებით მოკლე დროში გადააქცევს თავის რესპუბლიკას ეკონომიურად და კულტურულად დიდად განვითარებულ ქვეყნად, რომელსაც ექნება მთელი მოსახლეობის ცხოვრებისა და კულტურის მაღალი დონე.

ჩეხოსლოვაკიის ხალხს, განაცხადა დასასრულ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სურს ჰქონდეს ფართო თანამშრომლობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, რომელიც ემყარება უფლებათა სრული თანასწორობის, ურთიერთმეგობრობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპს.

ᲞᲝᲚ ᲕᲔᲠᲟᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). „იუნიონ ფრანსეზ დ'ენფორმასიონის“ სააგენტო ქალაქ სენ-დენიდან (რეიუნიონის კუნძული) იუწყება, რომ დააპატიმრეს და სამი თვით საპყრობილეში ჩასვეს რეიუნიონის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პოლ ვერჟესი. დაპატიმრების საბაბი გახდა ძალზე სადავო სასამართლო განაჩენი, რომელიც ვერჟესს გამოუტანეს სამი წლის წინათ გამოქვეყნებული სტატიებისათვის, რაც არა სასურველი იყო ხელისუფალთათვის.

„იუნიონ ფრანსეზ დ' ენფორმასიონის“ სააგენტო ვერჟესის, რომელიც გარდა ამისა გენერალური მრჩეველია, დაპატიმრებას უკავშირებს პრეზიდენტ დე გოლის მოგზაურობას ანტილის კუნძულებზე, აგრეთვე მთავრობას სისტემატურ ცდებს ხმა ჩააკმენდინოს ოპოზიციას რეიუნიონში.

საფრანგეთში მცხოვრებ ანტილიელთა და რეიუნიონისთა კავშირის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც პროტესტს გამოთქვამს ვერჟესის დევნის წინააღმდეგ და მოუწოდებს ყველა ფრანგ დემოკრატს ენერგიულად იბრძოლონ იმ „ღონისძიების წინააღმდეგ, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებს ყოფილი საფრანგეთის კოლონიური იმპერიის უკანასკნელ სამფლობელოებში არსებულ საგანგებო წესებს“.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ

ნიუ-იორკი, 21 მარტი. (საკდესი). სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები განაგრძობენ წარმატებით ოპერაციებს მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, რომ დღეს ადრე დილით სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ რაიონში პარტიზანთა ჯგუფმა იერიში მიიტანა სამხრეთვიეტნამელ ჯარისკაცთა ორ საგუშაგოზე და არტილერისტთა ქვეგანაყოფზე, ამასთან მოსპო საველი ქვემეხი და სატვირთო ავტომანქანა. მოწინააღმდეგეს ჰყავს დახოცილნი და დაჭრილნი.

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ

ბონი, 21 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ი. იაკოვლევი გვატყობინებს:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ორდენით „დიდი ჯვარი დამსახურებისათვის“ დააჯილდოვა სს-ის ყოფილი ობერშტურმანფიურერი ბიუტეფიში, რომელსაც ამჟამად კონცერნ „რურჰემი ა. გ.“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი უჭირავს. ვინ არის ეს კაცი?

1936 წლიდან ბიუტეფიში ჰიმლერის ყველაზე სანდო პირთა რიცხვს ეკუთვნოდა. იგი იყო უდიდესი ქიმიური კონცერნის „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ რწმუნებული და სუბსიდიებს აძლევდა ჰიტლერულ საკონცენტრაციო სიკვდილის ბანაკების მშენებლობისათვის. ამ საქმისათვის „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ საწარმოები იღებდნენ უფასო მუშა ხელს — საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრებს.

კერძოდ, 1940 წელს ბიუტეფიში მოელაპარაკა ჰიმლერის ადიუტანტს, რომ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ქარხანას აშენებდა. მშენებლობაზე მუშახელად იყენებდნენ ბანაკის პატიმრებს. ოსვენციმის პატიმრებს ამ ქარხნის მშენებლობაზე სრულ დაუძლურებამდე ამუშავებდნენ და ორი თვის შემდეგ კი გასანადგურებლად გაზის კამერებში აგზავნიდნენ. ქარხანაში კი პატიმართა ახალი პარტიები მოდიოდნენ. ასე მოქმედებდა ჰიტლერის განადგურების მანქანა, რომელშიაც „სამხედრო-ეკონომიური ფიურერის“ თანამდებობაზე მუშაობდა ბიუტეფიში, რომელიც დღეს ბონის მთავრობამ დააჯილდოვა.

Დ. ᲠᲐᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ვაშინგტონი, 23 მარტი. (საკდესი). გამოვიდა რა გუშინ სატელევიზიო პროგრამის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დ. რასკი შეეხო მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ. მან გაიმეორა მხოლოდ ზოგადი ფრაზები, რომ საჭიროა გაგრძელდეს შეთანხმების მიღწევის ცდები. ჩვენ რამდენადმე გაგვიცრუა იმედი იმან, რომ მოლაპარაკება ჟენევაში ნელა მიმდინარეობს, თქვა მან, მაგრამ ნებას ვერ მივცემთ ჩვენ თავს შევწყვიტოთ შეთანხმების გზების გამონახვის ცდები.

სახელმწიფო მდივანმა გაიმეორა ამერიკის შეერთებული შტატების ძველი პოზიცია პანამის საკითხში. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან განიხილონ პანამასთან ერთად ყველა საკითხი, მაგრამ შეერთებულ შტატებს არ შეუძლიათ წინასწარ იკისრონ რაიმე ვალდებულება მომავალ გადაწყვეტილებათა შესახებ.

რასკს ჰკითხეს, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს, მისი აზრით, პრეზიდენტ დე გოლის ამასწინანდელმა ვიზიტმა მექსიკაში მთელ ლათინურ ამერიკაზე. ხომ არ შეარყევს იგი შეერთებული შტატების გავლენას ამ რაიონში? სახელმწიფო მდივანი ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები დიდი ხანია მოუწოდებენ თავიანთ ევროპელ მოკავშირეებს მეტი ინტერესი გამოიჩინონ ლათინური ამერიკისადმი. ჩვენ დე გოლის განცხადებებს მექსიკაში აღვიქვამთ მათი ნამდვილი აზრით, განაცხადა რასკმა.

რასკმა აღნიშნა, რომ ამერიკის პოლიტიკა სამხრეთ ვიეტნამში არსებითად არ შეცვლილა. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გავუწიოთ სამხრეთ ვიეტნამს მთელი საჭირო დახმარება, თქვა მან.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

☐ **ნიგერიის** მთავრობამ განაცხადა თანხმობა თავისი ჯარები გაგზავნოს ტანგანიკაში, რომლებიც შეცვლიან იქ მყოფ ინგლისის ჯარებს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო.

☐ **მიმდინარე** წლის 1 იანვრისათვის პოლონეთში იყო 30.939.700 მცხოვრები. ამას იუწყება პოლონეთის პრესის სააგენტო.

☐ **პირველ** აპრილს არგენტინის დედაქალაქში გაიხსნება VI საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 15 ქვეყანა. საბჭოთა კავშირი წარმოდგენილ იქნება კინოფილმით „მშობლიური სისხლი“.

☐ **ინდოეთის** დედაქალაქის გაზეთთა ყურადღების ცენტრშია შეტაკებანი, რომლებიც მოხდა რელიგიურ-თემურ ნიადაგზე ორისის შტატის სამ ქალაქში — რურკელში, ჯარსუგუდსა და ბრაჯრაჯნაგარში. მარტო რურკელში დახოცეს 28 და დაჭრეს 59 კაცი, შტატის მთავრობამ ამ ქალაქებში შეიყვანა ჯარები. შემოღებულია კომენდანტის საათი, პოლიციამ მოახდინა დაპატიმრებანი.

☐ **ამჟამად** ბუენოს-აირესში იმყოფება დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის დელეგაცია ფედერაციის პრეზიდენტ როდოლფო მეჩინის მეთაურობით. დელეგაციის წევრებმა განაცხადეს პრეს-კონფერენციაზე, რომ მათი ვიზიტის მიზანია მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ და განამტკიცონ ამ ქვეყნის სხვადასხვა ახალგაზრდულ, სტუდენტთა, პროფკავშირულ, პოლიტიკურ და სხვა ორგანიზაციებთან, აგრეთვე პროპაგანდა გაუწიონ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მიზნებსა და პროგრამას.

☐ **სამხრეთ** კორეაში ორი დღის ვიზიტად ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი წყნარ ოკეანეში გენერალი სმარტი. იგი შეამოწმებს სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზებს. (საკდესი).

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲞᲝᲕᲝᲗ

ნიუ-იორკი, 22 მარტი. (საკდესი). კაცმა, რომელმაც თავისთავს ყოფილი თვალსაჩინო ნაცისტი მოღვაწის მარტინ ბორმანის ძმა უწოდა, გუშინ ბრაზილიის პოლიციას გამოუტყდა, რომ მისი ნამდვილი გვარია რიჩარდ როლნიკი, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. როლნიკი კვლავ ამტკიცებს, რომ ბორმანი ცოცხალია და ბრაზილიის მატო-გროსოს შტატში იმყოფება.

როლნიკმა პოლიციელებსა და ჟურნალისტებს განუცხადა: თავის თავს იმიტომ უწოდა ჰიტლერელი დამნაშავის ძმა, რომ ბრაზილიის პოლიცია აიძულოს განაახლოს ბორმანის ძებნა, რომელიც, მისი სიტყვით, დამნაშავეა გერმანიაში მთელი მისი ოჯახის მოსპობაში ომის დროს.

ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲞᲝᲚᲣᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ოსლო, 21 მარტი. (საკდესი). ბევრი გაუთვალისწინებელი დაბრკოლება შეხვდა გზაზე ნორვეგიის ტრანსარქტიკულ ექსპედიციას, რომელსაც განზრახული ჰქონდა ლაშქრობა მოეწყო ჩრდილოეთ პოლუსისაკენ. 19 მარტს ექსპედიცია თხილამურებით გამოვიდა ჩრდილოეთ პოლუსის მიმართულებით, სოფელ ალერტის მახლობლად მდებარე ბანაკიდან, რომელიც მდებარეობს კანადის ყველაზე ჩრდილოეთი კუნძულის — ელსმირის ჩრდილოეთ კიდესთან. მაგრამ, იმის გამო, რომ ყინულის მდგომარეობა გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ, ექსპედიცია ბაზაში დაბრუნდა მთელი დღის ლაშქრობის შემდეგ. ამის გამო ახლა ხდება ექსპედიციის გეგმების გადასინჯვა.

11 ახალგაზრდა ენთუზიასტს, რომლებიც ნორვეგიის ექსპედიციის შემადგენლობაში შედიან, განზრახული ჰქონდათ ჩრდილოეთ პოლუსამდე თხილამურებით გაევლოთ 960 კილომეტრი გზა, ხოლო შემდეგ წასულიყვნენ შპიცბერგენისა ან ჩრდილოეთის მიწის კუნძულებამდე. ექსპედიციის განკარგულებაშია პლასტმასის მარხილები და 100 შესაბმელი ძაღლი, რომლებიც წაიღებენ სურსათსა და აღჭურვილობას.

ექსპედიციას მეთაურობს 25 წლის ნორვეგიელი სტუდენტი, სათხილამურო სპორტის ინსტრუქტორი ბიორსტაიბი. ორი წლის წინათ მან თხილამურებით გადალახა გრენლანდია და გაიარა 800 კილომეტრი.

ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ბონი, 23 მარტი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გერმან ობერტის სახელობის კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათვისების საზოგადოებამ და რაკეტული და კოსმოსური პრობლემების სასწავლო-საგამომცდელო ბიურომ გუშინ კუქსხაფენის მახლობლად ზალენბურგის სარაკეტო პოლიგონზე მოაწყეს ათობით რაკეტის გამოცდა.

როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იუწყება, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პირველად გამოსცადეს ეგრეთწოდებული „მოლეკულა რაკეტა“, რომელსაც რადიოს საშუალებით გაგზავნიან „განსაზღვრულ მიზანმდე დედამიწაზე“.

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲐᲖᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ

სოფია, 21 მარტი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის 27-ე სესია. საბოლოო სხდომაზე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა განაცხადა: დისკუსიამ გვიჩვენა, რომ არის აზრთა ერთობა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის, სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლის განვითარების შესახებ.

აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიუჯეტი 1964 წლისათვის და დაადგინა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს XIII სესია მოწვეულ იქნეს მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს ბუდაპეშტში.

ᲑᲝᲛᲑᲓᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲔᲜᲐᲓ

ლონდონი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც დღეს გაზეთ „დეილი ექსპრესის“ სამხედრო მიმომხილველი ჩეპმენ პინჩერი იტყობინება, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს იყიდოს შეერთებული შტატებისაგან „ფენტომის“ ტიპის 150 ბომბდამშენი საზღვაო ავიაციისათვის.

ეს შეკვეთა, წერს პინჩერი, ინგლისს 120 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება.

რამდენიმე კვირის წინ მთავრობამ პარლამენტში გამოაცხადა, რომ აპირებს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან 50 ბომბდამშენის ყიდვას. ამ ცნობამ უკვე მაშინ გამოიწვია ოპოზიციის პროტესტი. პინჩერის აზრით ინგლისის მთავრობის ახალი გადაწყვეტილება აღშფოთებას გამოიწვევს თემთა პალატაში.

ᲙᲣᲙᲚᲣᲥᲡᲙᲚᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲕᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საკდესი). ასობით თეთრ ბალახონში გამოწყობილი კუკლუქსკლანელი მონაწილეობდა გუშინ ქალაქ ატლანტის (ჯორჯიის შტატი) თავყრილობაში.

ისინი ემუქრებოდნენ ზანგთა თანასწორობისათვის ბრძოლის მონაწილეებს, ლანძღავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში განხილულ მოქალაქეობრივ უფლებათა კანონპროექტს და ქებადიდებას ასხამდნენ „თეთრკანიანების საქმისათვის დიდ მებრძოლს“, ალაბამის შტატის გუბერნატორს უოლესს.

ჩვეულებრივად კუკლუქსკლანელთა თავყრილობები, რომლის დროსაც წვავენ ჯვარს, ეწყობა ღამით. ამჯერად სახრჩობელისა და ბომბის რაინდთა ეს შეკრება გაიმართა დღისით — მზისით ატლანტის საქალაქო პარკში. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი წერს, რომ გააქტიურდა კუკლუქსკლანის საქმიანობა და გაიზარდა მისი რიგები. მას მოჰყავს „დიდი გრძნეულის“ შელტონის სიტყვები იმის შესახებ, რომ კუკლუქსკლანის ორგანიზაციები მოფენილია ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე კალიფორნიიდან კანადამდე.

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲘ — ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘ

ჰავანა, 21 მარტი. (საკდესი). არგენტინის საზოგადოებრიობის ზეგავლენით, რომელიც მტკიცე პროტესტს აცხადებს „ტაკუარის“ ტერორისტული საქმიანობის წინააღმდეგ, არგენტინის ხელისუფლებმა აღძრეს სასამართლო პროცესი ამ ფაშისტური ანტისემიტური ორგანიზაციის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგ.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, დაპატიმრებულია „ტაკუარის“ 7 წევრი, რომლებიც წარდგნენ სასამართლოს წინაშე. ყველას მათ ბრალად ედება არგენტინის ცნობილი პროგრესული მოღვაწის რაულ ალტერმანის მკვლელობა.

განდიდების მანიით შეპყრობილმა რომის იმპერატორმა კალიგულამ, რომელიც მოითხოვდა, რომ მისთვის ისეთივე პატივი ეცათ, როგორც ღმერთებისათვის, ერთხელ განაცხადა, ჩემს ცხენს კონსულად გავხდიო. იმპერატორის ოცნება განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ დღემდე ცოცხლობს ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი მოღვაწის თავში. მართალია, სენატორმა ტეხასის შტატისაგან რივერ ვებსტერ იარბრუხმა რამდენადმე სახე უცვალა მას, საუკუნის მოთხოვნათა და მშობლიური შტატის სპეციალიზაციის გათვალისწინებით. ცხენის ნაცვლად მან ამერიკის კონგრესის საფეხურებზე მიიყვანა ტეხასური ხარი, რითაც ცხადყო თავისი დამოკიდებულება ეგრეთწოდებული ამერიკული დემოკრატიის უმაღლესი დაწესებულებებისადმი.

სიბრძნე და სილამაზე

ერმიტაჟი 200 წლისაა

ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟი კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი მუზეუმია მსოფლიოში, სადაც თავმოყრილია თითქმის ყველა ეპოქისა და ხალხის ხელოვნებისა და კულტურის ძეგლები.

1764 წელს ზამთრის სასახლეში მიღებულ იქნა სურათების პირველი დიდი კოლექცია. და ეს იყო პირველი აგური, რომელიც საფუძვლად დაედო მსოფლიო საგანძურს და მისი დაარსების თარიღადაც იქცა.

ერმიტაჟი ფრანგულად „განდეგილის თავშესაფარს", „მყუდრო სავანეს", „ფაცხას" ნიშნავს. XVIII საუკუნის საფრანგეთში ასეთი „ფაცხები" მონარქებისა და დიდგვაროვანთა სურვილით შენდებოდა და მათივე გართობისა და დასვენების კუთხეს წარმოადგენდა.

„განდეგილის თავშესაფარი" მეფის რუსეთშიც შენდებოდა, ეკატერინე II-ემ, რომელიც ფრანგული ხელოვნებითა და მისი „სულით" იყო აღტაცებული, 1765 წელს არქიტექტორ დელამოტს ზამთრის სასახლის გვერდით პავილიონი ააშენებინა, რომელიც სასახლეს „გადასასვლელი ხიდით" უკავშირდებოდა. ამ პავილიონში მოთავსდა ხელოვნების პირველი კოლექცია და პირველი ერმიტაჟიც მას ეწოდა.

ეკატერინე II იმ ხანებში თავის წარმომადგენლებს სურათების შესაძენად ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გზავნის, ხოლო შეძენილი კოლექციების გამოსაფენად 1773-75 წლებში არქიტექტორ ფელტენის მდინარე ნევას გასწვრივ უფრო ვრცელი შენობის აგებას უკვეთავს, რომელიც დღეს „ძველი ერმიტაჟის" სახელით არის ცნობილი.

1788 წელს არქიტექტორმა კვარენგიმ „ძველ ერმიტაჟს" თაღებიანი გალერია — ე. წ. რაფაელის ლოჯია მიუშენა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის ერმიტაჟში დიდად გაიზარდა ძვირფასი ძეგლების რაოდენობა: მეცნიერული ექსპედიციები სამხრეთ რუსეთში ანტიკური ქალაქებისა და სკვითური ყორღანების გათხრებს აწარმოებდნენ. იქ აღმოჩენილი იშვიათი ძეგლები დღითიდღე ამდიდრებდა ხელოვნების საგანძურს. არსებულ კოლექციებს დაემატა ანტიკური ქანდაკებები, კერამიკა, ძველი ეგვიპტის ხელოვნების ნიმუშები, გამოჩენილ მხატვართა ნამუშევრების ორიგინალები, გობელენები, მოზაიკა, ძვირფასი ფაიფური, ოქრო-ვერცხლის ნივთები, მაღალმხატვრული იარაღის კოლექციები და სხვ.

დაგროვილი სიმდიდრისათვის საჭირო გახდა ერმიტაჟის ხელახლა გაფართოება. ამ მიზნით ნიკოლოზ I-მა მიუნხენიდან მოიწვია არქიტექტორი ფონ კლენცე და მისი პროექტით 1840-50 წლებში რუსმა არქიტექტორებმა ვ. პ. სტასოვმა და ნ. ე. ეფიმოვმა ააშენეს ე. წ. „ახალი ერმიტაჟი", რომლის მთავარი შესასვლელი ხალტურინის ქუჩიდან გაფორმებულია გამოჩენილი რუსი მოქანდაკის ალექსანდრე ივანეს-ძე ტერებენევის მიერ.

მართალია, ერმიტაჟი გაიზარდა და მხატვრულ-ისტორიული ძეგლებით გამდიდრდა, მაგრამ მისი კარიბჭე მაინც ძნელი გადასალახავი დარჩა მშრომელთა ფართო მასებისათვის. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ აქცია ერმიტაჟის სიმდიდრე მშრომელთა კუთვნილებად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ლენინის მითითებით დაისახა ერმიტაჟის დაცვა-მოვლისათვის საჭირო ღონისძიებანი.

დღეს ერმიტაჟს უჭირავს ასეული დარბაზი და გალერია, სადაც გამოფენილია ორ მილიონამდე ექსპონატი. ეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მხატვრული სიმდიდრე და სიამაყეა.

1941 წლის მაისიდან ერმიტაჟში ორგანიზებულია რუსული კულტურის ისტორიის განყოფილება, სადაც კარგად წარმოდგენილია ისტორიული და საყოფაცხოვრებო პორტრეტების, გრავიურებისა და მედალიონების მდიდარი კოლექციები, ნახაზები, წიგნები, ხელნაწერები, კოსტიუმები, მალაქიტის, ძვლისა და ქარვის ნაწარმი, ძველი ფულის ნიმუშები, ქირურგიული და ასტრონომიული ხელსაწყოები, პეტრე დიდის ნაქონი ნივთები, ავეჯი და სხვ. მუზეუმის რუსულ განყოფილებაში დგას ალექსანდრე ნეველის ვერცხლის აკლდამა, რომელზეც დახარჯულია 1.440 კილოგრამი ვერცხლი. ეს არის რუსული ხელოვნების გასაოცარი ნიმუში, რომელიც თავისი გრანდიოზულობით ხიბლავს მნახველს.

გიორგის ანუ დიდ სატახტო დარბაზში გამოფენილია საბჭოთა კავშირის მოზაიკური რუკა.

1937 წელს სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით შედგენილ იქნა „სოციალისტური ინდუსტრიის რუკა". მასზე აღნიშნული იყო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული ცენტრები და ქალაქები. რადგან საბჭოთა ქვეყანაში სწრაფი ტემპით ვითარდება და მრავლდება ინდუსტრიული ქალაქები, ამიტომ 15 წლის შემდეგ ეს მოზაიკური რუკა მოძველდა და ის გადააკეთეს საბჭოთა კავშირის ფიზიკურ რუკად. მისი ფართობი 27 კვადრატულ მეტრს უდრის, ხოლო ზედაპირი შედგენილია 45 ათასი ცალკეული ფერადი ქვისაგან.

შესანიშნავია აგრეთვე რევნევის მომწვანო იასპისაგან დამზადებული უზარმაზარი ლარნაკი, მისი სიმაღლე 2,6 მეტრია, წონა კი 19 ტონას აღემატება. ამ ლარნაკის დამუშავებაზე რუს ოსტატებს 14 წელიწადი უმუშავნიათ.

მუზეუმში ფართოდ წარმოდგენილია შუა აზიის ხალხთა კულტურის ამსახველი ექსპონატები, რომლებიც ნათელყოფენ ამ ხალხთა ხელოვნების მაღალ დონეს შორეულ წარსულში. ერმიტაჟში ასევე შეიძლება გავეცნოთ ჩინეთისა და ინდოეთის ხალხთა მრავალფეროვანი, თვითმყოფი და მდიდარი კულტურის ნიმუშებს.

ერმიტაჟში დაცულია ირანის განთქმული ხალიჩები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი, ისპაჰანის შესანიშნავი კერამიკა, შესანიშნავია აგრეთვე, ლალით, ზურმუხტით, ფირუზით მოოჭვილი თურქული იარაღი, ქაშანურის ჭურჭელი და ნაირფერადი შორენკეცები.

მუზეუმში დაცულია ქართული კულტურის ძეგლებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ბორის ძვირფასი კომპლექსი.

შორაპნიდან 6-7 კილომეტრის დაშორებით, მთის პატარა სოფელ ბორში აღმოჩენილი იყო დიდგვაროვანთა სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, სპილენძის, თიხისა და მინის მრავალნაირი ნივთი. მათ შორის არის მაღალი ოსტატობითა და გემოვნებით გაკეთებული სამკაულები, ფუფუნების საგნები, ცხენის აკაზმულობა, სასოფლო-სამეურნეო და საომარი იარაღები.

ყველა ამ საგანს შორის მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოა 1902 წელს ნაპოვნი ვერცხლის თასი, რადგან ბორის სამარხებში აღმოჩენილ ძეგლებს შორის ის ერთადერთი წარწერიანი ნივთია და, როგორც ვარაუდობენ, მეოთხე საუკუნის შუა წლებს უნდა ეკუთვნოდეს.

უფრო გვიანდელ ხანას ეკუთვნის ვერცხლით მოჭედილი ქართული ყანწი, ლამაზი სურები, მცენარეული ორნამენტით შემკული აზარფეშები.

X-XII საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლებიდან ერმიტაჟში გამოფენილია გუდარეხის, ბეთანიის, ყინცვისის, დმანისის ნაგებობათა ფრაგმენტები, არქიტექტურული დეტალები, მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა, ვერცხლით მოჭედილი ნივთები, ტიხრული მინანქრის შესანიშნავი მედალიონი...

ერმიტაჟი სამართლიანად ამაყობს ანტიკური ძეგლების სიუხვით. მათ შორის განსაკუთრებით სრულად წარმოდგენილია მონათმფლობელური სამყაროს ძვირფასი ძეგლები, შესრულებული ბერძენი და რომაელი ოსტატების მიერ.

საერთოდ ანტიკური კულტურის ისტორიული მნიშვნელობა უდიდესია.

საქვეყნოდ ცნობილია დასავლეთ ევროპის ხელოვნების განყოფილების სურათების გალერია, სადაც გამოფენილია ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, ტიციანის, ველასკესის, რუბენსის, რემბრანდტისა და სხვა გამოჩენილ მხატვართა დიდებული ტილოები. იქვეა წარმოდგენილი დიდი იტალიელი ხელოვანის — მიქელ ანჯელოს ქანდაკება, აგრეთვე ბერნინის, კანოვას, ტორვალდსენის, ფალკონეს, გუდონისა და დასავლეთ ევროპის სხვა უდიდეს მოქანდაკეთა ნაწარმოებების მდიდარი კოლექციები.

ხელოვნების ამ შესანიშნავ ძეგლებსა და მსოფლიოს სხვა ხალხთა ხელოვნებას ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟში სიყვარულითა და მზრუნველობით ინახავენ. სწავლობენ, სხვებს ასწავლიან და ამით ღრმა პატივისცემას გამოხატავენ ყველა ხალხისადმი, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ კაცობრიობის კულტურის განვითარების საქმეში.

ლამარა გვაზავა-სანაძე.

მატჩები • ჩემპიონატები • ტურნირები

ჩემპიონატის ფინიში

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის.

შეჯიბრების მეხუთე დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია ტარტუს „კალევისა" და კიევის „სტროიტელის" შეხვედრამ. ესტონელი სპორტსმენები მონდომებით თამაშობდნენ და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს ანგარიშით 55:48. დამატებით დროში ვეფ-მა (რიგა) დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი" — 77:74, კიევის სკა-მ მოუგო მოსკოვის „დინამოს"—73:60, ლენინგრადის სპარტაკელებმა — მინსკელ თანაკლუბელებს 92:72, ცსკა-მ—ლენინგრადის სკას-ს 60:56, რიგის სკა-მ — თბილისის „დინამოს" 71:49.

გუშინ გაიმართა უკანასკნელი მატჩები. თბილისის „დინამო" შეხვდა კიევის სკა-ს. მაყურებლები თბილისელთა კარგ თამაშს მოელოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა — თბილისელებმა მესამე დამარცხება განიცადეს ზედიზედ, ამჯერად 80:84.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ცსკა-„სპარტაკი" (ლენინგრადი) 82:70, ვეფ-ი (რიგა)-„დინამო" (მოსკოვი) 69:63, სკა (ლენინგრადი)-„ჟალგირისი" (კაუნასი) 66:65, „სტროიტელი" (კიევი)-„სპარტაკი" (მინსკი) 63:58, სკა (რიგა)-„კალევი" (ტარტუ) 68:64.

ამრიგად, ჩემპიონატზე პირველი ხუთი ადგილი ასე განაწილდა: პირველ ადგილზეა ცსკა, მეორეზე — რიგის სკა, მესამეზე — კიევის „სტროიტელი", მეოთხეზე — კიევის სკა, მეხუთეზე — თბილისის „დინამო".

რ. ჭელიძე.

პირველ ადგილზე დაუმარცხებლად

გუშინ თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზში დამთავრდა წყალბურთელთა ტურნირი კიევის, ლვოვის, ტაშკენტისა და თბილისის გუნდების მონაწილეობით.

უკანასკნელი დღის ასპარეზობიდან გამოირჩეოდა თბილისისა და ლვოვის გუნდების შეხვედრა. მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 5:4. კიეველმა წყალბურთელებმა მოუგეს ტაშკენტის გუნდს 6:4.

ამრიგად, თბილისის გუნდმა ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა და პირველი ადგილი დაიკავა.

●

თორმეტი ტურის შემდეგ

გუშინ რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბში გაიმართა საქართველოს პირველობის მე-12 ტური ჭადრაკში ვაჟთათვის.

გურგენიძემ მოუგო კირვალიძეს, გიორგაძემ — მეგრელიშვილს, მაჭავარიანმა — ძუგაევს. კალატოზიშვილ-ელიოზიშვილისა და ბუსლაევ-დავითაშვილის პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

12 ტურის შემდეგ ლიდერია ჯ. ბერაძე, რომელსაც 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

●

ტოკიოს სამზერისათვის

პირველი საგზური ფეხბურთის ოლიმპიურ ტურნირზე ტოკიოში მოიპოვა მექსიკის გუნდმა. მან გაიმარჯვა მეხიკოს შესარჩევ ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, პანამისა და სურინამის ნაკრები გუნდები.

დანარჩენი ცამეტი ვაკანტური ადგილის (შესარჩევი ასპარეზობებისაგან განთავისუფლებული არიან იაპონიის სპორტსმენები, რომლებიც მომავალ ტურნირს აწყობენ და წინა ოლიმპიადაში გამარჯვებული იუგოსლავიის ფეხბურთელები) პრეტენდენტია ევროპის, აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების 33 გუნდი.

(საქდესი).

დასკვნითი ტურის წინ

თბილისში დასასრულს უახლოვდება პროფკავშირთა საკავშირო ზონალური ტურნირი ჭადრაკში ვაჟთათვის.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რომელმაც სატურნირო ცხრილში გარკვეული სიცხადე შეიტანა.

უკანასკნელი ტურის წინ ლიდერთა ჯგუფში მდგომარეობა ასეთია: დაწინაურდა სვერდლოვსკელი საერთაშორისო ოსტატი გ. ილივიცკი, რომელსაც 8,5 ქულა აქვს. ვ. ჟურავლიოვს (პერმი) 8 ქულა აქვს. ოთხეულში მოხვედრისათვის იბრძვიან ა. ტომსონი და ნ. ჩერნიხი (მოსკოვი).

პროფკავშირთა საკავშირო შეჯიბრების დიდ ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ზონალურ ტურნირში პირველ ადგილზე გამოსული მოჭადრაკე. მომდევნო სამი ადგილის მფლობელები ითამაშებენ მცირე ფინალურ ტურნირში.

უკანასკნელი რეპეტიციები

საბრძოლო ფრე

გასულ კვირადღეს თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე მოეწყო საკავშირო ჩემპიონატისწინა ერთ-ერთი ცენტრალური საკონტროლო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის დინამოელებსა და მათ თბილისელ თანაკლუბელებს შორის.

შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1. ორივე ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმში. გოლების ავტორები იყვნენ გუსაროვი და მეტრეველი. აღსანიშნავია, რომ მეკარე ლეჟავამ პირველ ტაიმში მოიგერია 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

მეტოქეები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: მოსკოვის „დინამო" — იაშინი, მუდრიკი, ანიჩკინი, გლოტოვი, მასლოვი, ცარიოვი, ჩისლენკო, ვშივცევი, გუსაროვი, ბობკოვი, ფადეევი; თბილისის „დინამო" — ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, გ. სიჭინავა, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

ამ გუნდების დუბლ-შემადგენლობათა შეხვედრის შედეგია 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

●

დებიუტანტის წარმატება

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგა მორიგი საკონტროლო მატჩი ფეხბურთში მინსკის „დინამოსა" და „ა" კლასის დებიუტანტის თბილისის „ლოკომოტივის" გუნდებს შორის.

ლოკომოტიველებმა აღმავლობით ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. პირველი ტაიმის შედეგი იყო 1:0. 30-ე წუთზე საკუთარ კარში ბურთი გაიტანა მცველმა ზარემბომ. მეორე ნახევრის 33-ე და მე-40 წუთზე აპრესიანმა და კოშკელოვმა დამატებით ორი ბურთი გაიტანეს.

თბილისის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში იყვნენ: რუხაძე, ჩხაიძე (კიზირია), ჩუბინიძე (კანდელაკი), ტოგონიძე, წოწელია, იაშვილი, შაფათავა, აპრესიანი, მიროშნიკოვი, ჟორდანია (ახალკაცი), კოშკელოვი.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრის შედეგია ფრე — 0:0.

●

ე. ლასკერის ჭადრაკი — ნონას

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კულტურის სასახლეში ქალაქის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს მსოფლიოს ჩემპიონს ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილს.

შეხვედრა გახსნა კომკავშირის ქალაქკომის მდივანმა კ. ჟამიერაშვილმა. ჩემპიონს სხვებთან ერთად მიესალმა რუსთავის ბინათმშენებლობის სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსი ა. გვასალია. მან გაფრინდაშვილს საჩუქრად გადასცა ჭადრაკის ფიგურები, რომლებითაც 1914 წელს პეტერბურგში ლასკერს უთამაშნია.

აღნიშნული ჭადრაკის ისტორია ასეთია:

იმ პერიოდში პეტერბურგში ყოფილა ქართველი პროფესორი პ. ხელთუფლიშვილი. მას უთამაშნია ე. ლასკერთან ელვისებური პარტია. როდესაც შამათი გარდუვალი იყო, ხელთუფლიშვილს ფიგურის შეწირვით მიუღწევია მუდმივი ქიშისათვის.

ლასკერს ძლიერ მოსწონებია მეტოქის ეს გონებამახვილური სვლა, კლუბის ხელმძღვანელობას სთხოვა ჭადრაკი დამითმეთო, და იგი ხელთუფლიშვილს საჩუქრად გადასცა.

შემდეგ ჭადრაკის ფიგურები პროფესორმა ხელთუფლიშვილმა სიკვდილის წინ 1945 წელს უსახსოვრა ა. გვასალიას, რომელიც თითქმის 20 წლის განმავლობაში ხათუთად ინახავდა მათ.

— ჩემთვის მეტად სასიამოვნოა, — განაცხადა ა. გვასალიამ საჩუქრის გადაცემისას, — რომ გენიალური მოჭადრაკის ე. ლასკერის ხელშენახებმა ჭადრაკის ფიგურებმა ყველაზე ღირსეული მფლობელი მონახეს ნონას სახით.

შეხვედრის ბოლოს ნონამ გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 15 დაფაზე. ანგარიშია 12:3 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. ნონამ მოიგო 11 პარტია, ორი ყაიმით დაამთავრა და ამდენივე წააგო.

ე. სულთანიშვილი.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

შეხვედრა მარუხის გმირებთან

უვარელი. (საკ. კორ.). რაიონის ახალგაზრდობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო მარუხის გმირებს. შეხვედრა გახსნა საწარმოო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა შ. კაპანაძემ.

კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა მ. წიწრიაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: მარუხის ბრძოლების ასახვა რ. ჯაფარიძის წიგნში „მარუხის თეთრი ღამეები".

მოგონებებით გამოვიდნენ მარუხის ბრძოლების მონაწილენი კოტე სვინტრაძე, ნიკოლოზ სხირტლაძე და ვასილ რუხაძე.

მარუხის გმირებს გულთბილად მიესალმნენ ყვარლელი პიონერები. მწერალმა რ. ჯაფარიძემ ილაპარაკა მარუხელთა გმირობაზე.

პერსონალური გამოფენა

ქუთაისი. (საკ. კორ.). სურათების გალერიაში გაიხსნა ქართველი მხატვრის კოტე ჭანკვეტაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. აქ წარმოდგენილია მხატვრის ასამდე ნამუშევარი.

გამოფენის გახსნაზე ქალაქის მშრომელები შეხვდნენ თვით მხატვარს, აგრეთვე თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს. სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი, ხელოვნებათმცოდნე შ. კვასხვაძე. მხატვარმა კ. ჭანკვეტაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

მხატვრის ნაწარმოებთა გამოფენა ერთ თვეს გასტანს.

სასწრაფო დახმარების ახალი სადგური

გურჯაანი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში შეიქმნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური. აქ მუშაობენ მაღალკვალიფიციური ექიმები.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური გარდა ქალაქ გურჯაანისა მომსახურებას უწევს აგრეთვე რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ამწვანებენ საამქროთა ეზოებს

გაზაფხულის რძე ჩადგა მცენარეთა ფესვებში, ფეთქავენ კვირტები, სადაც არის თვალს გაახელენ და მწვანედ გადახასხასდებიან ნარგავები.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გამწვანების უბნის მუშებმა და აგროტექნიკოსებმა კარგად იციან, რომ ცოტა ხნის შემდეგ ნერგების გადარგვა დაგვიანებული იქნება. ამიტომ ახლა გაცხოველებით მუშაობენ. წინასწარ მომზადებულ ორმოებში უკვე ასობით ძირი ჭადარი დარგეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მუშაობაა გაწეული მილსაადიდვო და მილების მომთუთიებელ საამქროთა ეზოებში.

საამქროთა წინმდებარე ხრიოკი ადგილები მალე ბაღნარად იქცევა.

გ. ჯახუა.

სოხუმი. ქალაქისა და ნავსადგურის ხედი.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

შ. ხიდაშელი — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგემ შალვა ვასილის-ძე ხიდაშელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ძირითადი მსოფლმხედველობრივი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში (IV-XIII ს. ს.)".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა შ. ხიდაშელისათვის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

რესპუბლიკური კონკურსი

ახალგაზრდობის საუკეთესო სიმღერებისათვის

იმ მიზნით, რომ შეიქმნას ახალი მაღალმხატვრული სიმღერები, რომლებიც ასახავენ ჩვენი ახალგაზრდობის მდიდარ სულიერ სამყაროს, კომუნისტური ბრიგადების შთაგონებულ შრომასა და ცხოვრებას, ქალიშვილთა და ჭაბუკთა შრომითს გმირობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ახალგაზრდობის ყოველდღიურ მუშაობას, მის მზადყოფნას სამშობლოს დასაცავად, სოციალისტური წყობილების დიად მონაპოვართა დასაცავად, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და კომპოზიტორთა კავშირი აწყობენ რესპუბლიკურ კონკურსს საუკეთესო სოლო და საგუნდო სიმღერებისათვის ახალგაზრდობის თემატიკაზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა კომპოზიტორს, მიუხედავად ასაკისა, როგორც კომპოზიტორთა კავშირის წევრს და წევრობის კანდიდატს, ისე იმათ, ვინც არ შედის ამ შემოქმედებითს გაერთიანებაში, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო მუსიკალური სასწავლებლების სტუდენტებს.

მუსიკალურ ნაწარმოებთა წარდგენა კონკურსზე წარმოებს დევიზით: „ახალგაზრდობის სიმღერის კონკურსზე". საკონკურსო ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს დაბეჭდილი კონვერტით, აღინიშნოს ავტორის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისი მისამართი. ყველა მასალა კონკურსზე უნდა გამოიგზავნოს მისამართით: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 22, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი.

კონკურსზე წარდგენის ვადაა არა უგვიანეს 1964 წლის 10 მაისისა.

საუკეთესო სიმღერებისათვის წესდება შემდეგი პრემიები:

1 პირველი პრემია — 300 მანეთი
2 მეორე პრემია — 200 მანეთი
3 მესამე პრემია — 100 მანეთი

პრემირებული და რეკომენდებული მუსიკალური ნაწარმოებები გამოიცემა, ხოლო ავტორებს მიეცემათ საავტორო ანაზღაურება შესაბამის გამომცემლობებში დაწესებული განაკვეთებით, აგრეთვე ამ ნაწარმოებებს შეიძენს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება გაზეთებში „ახალგაზრდა კომუნისტი" და „მოლოდიოჟ გრუზიი".

საკონკურსოდ გამოგზავნილი სიმღერები ავტორებს დაუბრუნდებათ ერთი თვის ვადაში კონკურსის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ხოლო პრემირებული და გამოსაცემად რეკომენდებული სიმღერები — გამოცემის შემდეგ.

(საქდესი).

სამეცნიერო ლაბორატორიებში

ბგერა მოცულობას იძენს

აკუსტიკის ერთ-ერთმა დიდმა სპეციალისტმა ოდესღაც თქვა: „ჩვენი სმენა იმდენად მიეჩვია მუსიკალური რადიოგადაცემების ცუდ ჟღერას, რომ ვეღარ ვამჩნევთ რამდენად ცუდია ისინი". მართლაც, მეტ წილ შემთხვევებში ვურიგდებით ჩვენი „სატრანსლაციო წერტილის" ბგერის ხარისხს. მუსიკის ნამდვილი მოყვარულები კი მაინც ამჯობინებენ მოისმინონ იგი თეატრებისა და კონსერვატორიების დარბაზებში.

რადიოინჟინრები დიდიხანია ისწრაფვიან მიმღებების ჟღერა მიუახლოონ ნატურალურს: გააფართოვეს აღწარმოების სიხშირეთა ზოლი, შექმნეს აკუსტიკური სისტემები რამდენიმე ხმამაღლა მოლაპარაკისაგან, რაც მსმენელს სივრცის ილუზიას უქმნის. მაგრამ ასეთი „ფსევდოსტერეოფონიური" სისტემა ბევრად უკეთ როდი ჟღერს. გულდასმითმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ, ვთქვათ, ორკესტრის აღქმა ჩვეულებრივი მონოფონიური გადაცემისას მხოლოდ იმ შემთხვევაში უახლოვდება ბუნებრივს, თუ მისი ხმამაღლობა ნატურალურს უდრის. გასაგებია, რომ ასეთი მუსიკა დიდ კმაყოფილებას ვერ მოგანიჭებს.

და მაინც, თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი შესაძლებელს ხდიან შევქმნათ ბუნებრივი ჟღერადობა ჩვეულებრივ საცხოვრებელ ოთახში. ეს არის სტერეოფონიური ბგერის სისტემა. მონოფონიურ გადაცემას მიჩვეულ მსმენელზე იგი შთაბეჭდილებას ახდენს იმ ადგილის ზუსტად გარკვევის შესაძლებლობით, საიდანაც ბგერა მომდინარეობს. ადგილი შესამჩნევია სოლისტების ყოველი გადაადგილება, „ბგერითი სურათი" მკაფიო და გარკვეულია, ტემბრებისა და აკუსტიკური „შეფერილობის" გადაცემა სწორია.

საქმე ის არის, რომ ბგერის წყაროს მდებარეობას განვსაზღვრავთ ეგრეთწოდებული ბინაურალური ეფექტის მეოხებით, უბრალოდ რომ ვთქვათ, ორი ყურით მოსმენის მეოხებით. ჩვეულებრივად ერთი და იმავე წყაროდან მომდინარე ბგერები თვითეულ ყურამდე არაერთგვარნი აღწევენ და განსხვავდებიან ინტენსივობით, მოსვლის დროითა და რხევათა ფაზით. სწორედ ეს განსხვავებანი აღძრავენ ჩვენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში იმის ფსიქოფიზიოლოგიურ განსჯას, თუ რა მიმართულებით მოდის ბგერა.

იდეალური სტერეოფონიური სისტემის შექმნა თითქოს ძალიან ადვილია, მაგრამ გარდა იმისა, რომ ასეთი კონსტრუქცია ტლანქი და რთულია, ბგერის თანამთხვევი არეების მიღება შეიძლება მხოლოდ ისეთ სათავსებში, რომელთა აკუსტიკური დახასიათება ერთგვაროვანია.

ბოლოს და ბოლოს მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დასაშვებია დავჯერდეთ ბგერის გადაცემას ორი არხით: ყველაზე სწორად მბგერ „წერტილს" ადამიანი ხომ ჰორიზონტალით განსაზღვრავს. ბგერის სტერეოფონიური გადაცემის სისტემებში იყენებენ ორ ან რამდენიმე მიკროფონს და ხმამაღლამოლაპარაკეთა სისტემების შესაბამის რაოდენობას. მიკროფონები ბგერებს ელექტრორხევებად გარდაქმნიან და თვითეული მათგანი გამაძლიერებლის საშუალებით გადასცემს მათ „თავის" ხმამაღლამოლაპარაკეს. ამასთან ერთი მიკროფონის ბგერის არეს იღებს მეორე მიკროფონიც, მაგრამ დროისა და ინტენსივობის ერთგვარი განსხვავებით. სწორედ ეს განსხვავება აძლევს მსმენელს შესაძლებლობას გაარკვიოს ბგერის წყაროების ადგილმდებარეობა.

მაგრამ არა კმარა მიიღო ბგერითი, გაყოფილი სტერეოფონიური ინფორმაცია, საჭიროა რადიომსმენელამდეც მიიტანო იგი. შეიძლება, რა თქმა უნდა, გადასცე ბგერითი არხები ორი რადიოსადგურით და მიიღო ისინი ორ რადიომიმღებზე, მაგრამ გადამცემი სადგურების რიცხვის გადიდება მიზანშეუწონელია, ეთერში ისეც „სივიწროვეა".

ახლა მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში წარმოებს სტერეოფონიური მაუწყებლობის საცდელი გადაცემები ულტრამოკლეტალღიანი დიაპაზონით ერთ მზიდავ სიხშირეზე, მარცხენა და მარჯვენა არხების პოლარული მოდულაციით. ამასთან რადიოსადგურის სიხშირეში „ერევიან" მამოდულირებელი რხევანი. დადებითს ნახევარპერიოდებს ერთი არხის ბგერითი მოდულაცია მოაქვთ, ხოლო უარყოფითებს — მეორისა. ამრიგად სიხშირეთა იმ ზოლის ფარგლებში, რომელიც გამოყოფილია ერთი რადიოსადგურის მუშაობისათვის, ერთდროულად გადაიცემა ორი ინფორმაცია.

პოლარული დეტექტორით გაყოფილი ინფორმაცია მიმღებში ძლიერდება და ხმამაღლამოლაპარაკეთა ორი სისტემით გამოსხივდება. სტერეოფონიური აღწარმოების მაღალი ხარისხი უზრუნველყოფილია არხების კარგი გაყოფით და მათი დახასიათებების სრული დამთხვევით. ჩვეულებრივი მონოფონიური მიმღები იმავე გადაცემას რამდენადმე უფრო ნაკლებ ხმამაღლა იღებს, რის კომპენსირებასაც ადვილად ახდენს დაბალი სიხშირის გაძლიერების რეგულატორი.

საბჭოთა მრეწველობა უშვებს სტერეოფონიურ რადიოლებს „ესტონია-3"-ს, „ბელარუს-63"-ს, „რიგონდა-სტერეოს" და სხვებს.

თავის დროზე ტელეფონის მილებმა ადგილი დაუთმეს დინამიკურ ხმამაღლამოლაპარაკეებს, ახლა კი მონოფონიურ ბგერას სტერეოფონიური შეცვლის.

ვ. ლიუსტიბერგი,
აას-ის კორესპონდენტი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1964 წლის 8 აპრილს დღის 12 საათზე № 59 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 36) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ილია ისიდორეს-ძე მაცაბერიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „შრომის ნაყოფიერება და მისი ზრდის რეზერვები საქართველოს შავ მეტალურგიაში".

22 აპრილს დღის 12 საათზე № 59 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 36) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბედევან გიორგის-ძე ხელაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საბინაო მშენებლობის დაფინანსება და გრძელვადიანი დაკრედიტება საქართველოს სსრ-ში (1921-1961 წ.წ.)".

8 აპრილს დღის 12 საათზე № 93 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **დავით ვიქტორის-ძე ბეზეჩიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ბაპტისტთა და ორმოცდაათიანელთა სექტები, მათი საქმიანობისა და იდეოლოგიის რეაქციული არსი".

29 აპრილს დღის 12 საათზე № 59 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 36) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მამია იოსების-ძე ლალანიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ახალი ტექნიკის ეკონომიური ეფექტიანობა და მისი განსაზღვრა კვების მრეწველობაში".

6 მაისს დღის 2 საათზე № 1 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 13) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვლადიმერ გიორგის-ძე არსენიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ალაზნის ველის დამლაშებული ნიადაგების მცენარეული საფარის ცვალებადობა ჩარეცხვებთან დაკავშირებით".

22 აპრილს დღის 3 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვლადიმერ ვალერიანის-ძე ჭავჭანიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მოდელირებისა და სტოქასტიკის მეთოდები ფიზიკასა და კიბერნეტიკაში".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

24 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი (დღისით), რიგოლეტო (საღამოს, მე-7 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, **მარჯანიშვილის სახელობის** — აურზაური არაფრის გამო (დღისით, 23-ე აბონ. მე-5 წარმოდგენა), ნოველების საღამო (საღამოს, მე-10 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ანა ფრანკის დღიური (დღისით), ადამიანი ვარსკვლავებიდან (საღამოს პრემიერა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში) — მზის დაბნელება (დღისით და საღამოს), **სანიტარული განათლების სახლი** — სახელგატეხილნი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** (ძერჟინსკის სახელობის კლუბის შენობაში) — ჩექმებიანი კატა (აბონ. № 29, დილის 10 ს.).

კინო

24 მარტი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული — **სიკვდილს ენგელჰენი ჰქვია** (I და II სერია), ოქტომბერი, სპარტაკი, კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კოსმოსი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **კოდინი**, თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ნაკადული — **12 სკამი**.

ტელევიზია

25 მარტი

12.00 — ყველაზე პატარებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ზღაპარი ოქროს თევზსა და მებადურზე", 12.30 — მოსწავლეთა თხოვნით — ქართული მხატვრული ფილმი „მანანა", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის მე-10 მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა კონცერტის ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზიდან, 18.55 — გადაცემა — „საუკეთესო მძღოლი", 19.05 — გადაცემა ციკლიდან — „დიდი ქიმია ეკრანზე". კინონარკვევი „საფუძველთა საფუძველი", 19.30 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 19.50 — ტელევიქტორინა — „რა იცით მოძმე აზერბაიჯანის შესახებ?", 19.55 — გადაცემა ციკლიდან — „ისინი იბრძოდნენ შენი ბედნიერებისათვის", 20.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ერთი ექსპედიციის ჩვეულებრივი დღე", 20.25 — გადაცემა ციკლიდან — „ახალი წიგნები", 20.55 — მხატვრული ფილმი „პირადად ცნობილია", 22.25 — კვირის ამბები (რუსულ ენაზე).

რადიო

25 მარტი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები და ვალსები, 10.40 — ახალგაზრდა პოეტების ლექსები, 11.15 — ბეთჰოვენი. საფორტეპიანო ტრიო, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.25 — კონცერტი ნ. გუდიაშვილის ნაწარმოებებიდან, 13.40 — ზახაროვის სიმღერები, 17.15 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — სიმღერები ბესედინის შესრულებით, 19.30 — საუბარი — „აგიტატორთა ღირსების საქმე", 19.50 — რადიოვიქტორინა — რა იცით მოძმე აზერბაიჯანის შესახებ, 20.15 — „ძლისპირული", 20.30 — თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — კულტურის რადიოუნივერსიტეტი. კონცერტი-საუბარი: „რა უნდა ვიცოდეთ კამერული მუსიკის შესახებ", 23.30 — ლირიკული სიმღერები.

კომუნისტი
КОМУНИСТИ
ИНДЕКС 66443

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოს — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05892